

საბჭოთავო





„კომუნარი“

საქართველოს ბ. კ. მ. ცენ-
ტრალური ბიუროს და გა-
ნათლებლის სახალხო კომისა-
რიატის შუენალი ბავშთა-
თვის

№ 10

ოქტომბერი 1934

წალიწალი მე-9

კადაქციის მისაბარტი:

ალბასკომის ქ. № 7.

სახელგამი,

საქმეწვილმ და სავაწვუმ

სექტორი

ზინაარსი:

1. წყალდაღობა (ლექსი) — გიორგი კაჭახიძისა . . . 1
2. ქობულეთში — ცქვიტისა 1
3. ალბომი — მ. მიქელაძისა 4
4. ლონგფელო (ჰაიავატას სიმღერა) — თარგმ. მიქელ პა-
ტარიძისა და გ. გაჩეჩილაძისა 8
5. ზამთრის საგზალი — ლავ. ჭიჭინაძისა 10
6. მესამე მოდემის ზეიმი (ლექსი) — მ. ებრალიძისა . . . 13
7. სიხარულის დღეები 14
8. ბუნების მეჯლისი — ლეოპოლდ ზვიჩიასი 14
9. გამოცანები (წარმ. გ. ლომთათიძის მიერ) 16
10. აიშე — პარმენ ლორიასი 17
11. ახალ სახლთან (ლექსი) — სანდრო ჟღენტისა 20
12. რობინზონ კრუზო — გადმოკ. შ. თაბ-ლის მიერ 21
13. გმირი ბავშვი — მიხეილ ებრალიძისა 25
14. მხატვარი შალვაძნელაძე — ანდანიასა 27
15. სექტემბრის ღამე (ლექსი) — გ. კალანდაძისა 29
16. ზღვისა და ცის შუა — ბოიზენიდან თარგ. ი. როსტო-
მაშვილის მიერ 29
17. დათვის ჭკუა (ლექსი) — გ. ლომთათიძისა
18. ჩქარი სათქმელი — შეკრებილი ნინო ნაკაშიძის მიერ
19. ჟურნალი დასურათებულია ი. ბერიევას მიერ.

პ/მგ. რედაქტორი: აკ. რახვიაშვილი.

პ/მგ. მდივანი: ლავრ. ზიზინაძე.

საქართველოს სახელგამის პოლიგრაფსკოლა, აკ. წაჩათლის ქ. ვ/ა.

წყაღიღობა

არ დამწვიდლა, კიდევ უფრო
მოიღუშა სველი ზეცა...
წვიმის მძიმე წვეთების ქვეშ
ბალახები ჩაიკეცა.
დაეტაკა სახლს გრიგალი,
ჩამოინგრა ბუდე მერცხლის.
ტყესთან მებმა დაიქეჩა,
და გაუჩნდა მუხას ცეცხლი.
ონაგარმა მღვრიე წყალმა
გადალახა ყველა მიჯნა,
როგორც ბევრგან,
ჩვენს ეზოშიც
ნიაღვარი შემოიჭრა.
შეგვიშფოთა ფრინველები,
დაუნგრია იხვებს ბინა,
აღრიალდა, გათაფხედდა
და ფარეხში შეირბინა.
გაიტაცა თეთრი გოჭი,
პაწაწინა, ტანით კოხტა...
ახლო მყოფი დედალორი
შეშინდა და აროხროხდა.
მაგრამ საწყალს რა შეეძლო,
ასკდებოდა წყალი ისე,
სიცოცხლისთვის ზევით თვითონ
ძლივს იწვედა ცხვირს და კისერს.
ელვა-ჭექის სისასტიკემ
დაავიწყა ბების ხველა.

სიკვდილივით ჩაგვაფიქრა
ნიაღვარმა თითქმის ყველა.
მძიმე, შავი ღრუბლების ქვეშ
მოელოდა თემი საფრთხეს...
რუს ნაპირის მოსახლენი
მალლობის ხალხს შეესახლენ.
აკრიახდა ბევრგან კრუხი
და აბლავლდა ბევრგან ძროხაც.
დაეუფლა სოფელს შიში,
ეზოებში გაჩნდა ოხვრა.
მდინარიდან დიდმა ზვირთმა
ჩაგვიარა ახლო ქობთან,
წვიდა და როგორც ლოდი
ჩვენი უბნის წისქვილს მოხვდა.
შეგბრძოლა, დაარყია,
ხის კედლენი რიხით დასცა
და ანტობა მეწისქვილეც
გაგულდა და გაიტაცა.
გულადებმა განიზრახეს
ანტონასთვის დროზე შეველა,
მაგრამ წყალი ბობოქარი
აშინებდა უკვე ყველას.
მეორე დღეს, როცა ზეცამ
დაგვანახა სუფთა სახე,
მეწისქვილის შავი გვამი
სოფლის იქით ტყესთან ნახეს.

გიორგი კაჭახიძე

ქობულეთში*)

(დასასრული)



რამდენიმე სადგური გავირობინეთ და შორაპ-
ნის მახლობლად, როცა მოაჯირიან ხიდს მი-
ვუახლოვდით, უცებ ელექტრომავლის ზემო
ნაწილზე რალაცამ ისე ძლიერ გააშუქა, ისეთი
დიდი ცეცხლი გაჩნდა, რომ შორეული მთის
ნისლიანი მწვერვალები და მის ქვემოთ შავი

გიშერივით მდინარე ისე გამოჩნდა, როგორც
ხელისგულზე.

— ვაიმე, ცეცხლი, ელექტრომავალს ცეც-
ხლი წაეკიდა! — ვიყვირე და თავი უფრო ძლიერ
გადავყავი... იმდენი ნაპერწკალი ცვიოდა, იმდენი,
რომ გვეგონებოდათ ვულკანმა ამოხეთქო. სანამ
ხალხი ახმაურდებოდა და აიშლებოდა, ცეცხლი

*) დას წყისი იხ. უფრ. „პიონერის“ № 9.

კიდევ ჩაქრა, და მატარებელიც გაჩერდა. გულ-
გახეთქილი მგზავრები ფანჯარას ეცენ...

— არიქა, კაცი მოკლა, მთლად ნახში-
რად აქცია — ვილაკამ დაიძახა წინა ვაგონიდან და
ამათ ხალხში უარესი მოუხსენრობა გამოიწვია.

მატარებლის ორივე მხრივ სიბნელეში კონ-
დუქტორების ნათურებიც ციციანათელებივით
აბუთდა.

შეიქნა კითხვა და გამოძახილი. ვისაც ეძინა,
ისიც ფეხზე წამოვარდა და გაფეთებით გაქანდა
კარებისაკენ. გავიდა ნახევარ საათზე მეტი,
მატარებელი კი ადგილიდან არ იძროდა.

— რას შვრებიან, კაცო, რაკი ერთი კაცი
მოკლა, დილამდის აქ გაჩერებას ხომ არ გვიბი-
რებენ? სხვა არა იყოს რა, მეშინია: წინიდან
ან ზურგიდან სხვა მატარებელი არ წამოგვაწყ-
დეს! — უკმაყოფილოდ წამოიძახა ბნელ კუნ-
ჭულში მჯდომმა კაცმა.

— რას ლაპარაკობ, კაცო! ეგ როგორ შე-
იძლება! განა აქამდის არ იცი, რომ სანამ მა-
ტარებელი სადგურზე არ მივა, მეორე სადგუ-
რიდან სხვა მატარებელს არასოდეს არ გა-
მოუშვებენ. აბა, კვერთხის გადაცემას მაშრაღა
მნიშვნელობა აქვს?!

— დამანებე თავი, თუ ძმხარ... ეს კვერ-
თხიც დიდი ხანია არსებობს, „ნაჩალიკებიც“
ბევრი არიან, დარაჯებიც, მაგრამ განა მაგისტანა
მარცხი ცოტა ხდება ამ რკინისგზაზე? — არა
ცხრებოდა ბნელაში მჯდომი კაცი.

— კაცო, ესე უცებ როგორ შეთხზავენ
ხოლმე... კაცი კა არ მოუკლავს, ელექტრო-
დამცველი გადამწვარა და ახლა იმას აკეთებენ,
— ვაგონში შემოსვლისას მხიარულად ჩაელაპა-
რაკა ერთი ახალგაზრდა თავის ანხანაგს და ყვე-
ლამ თითქოს რაღაც შეება იგრძნო, ეს ცნობა
ყველას ისე გაეხარდა, რომ ლაპარაკის კილოც
კი შეეცვალათ.

— ამხანაგო, რას ამბობენ, როდემდის უნ-
და ვიდგეთ აქა?! — არ ისვენებდა კუთხეში
მჯდომი კაცი და თან ჩუზად იღანძლებოდა.

— რა ვიცი, გაფაციცებით კი მუშაობენ
და... ალბათ, ნახევარ საათში წავალთ — უბასუხა
ახალგაზრდამ და ზემო თაროზე გულდამშვიდე-

ბით წამოგორდა. მაგრამ ნახევარი საათი საათი
ხვერად იქცა, და ჩვენ კი სულ ერთ ადგილას
ვიდექით.

მე ისევ ფანჯარაში ვიხედებოდი და სიბნე-
ლეში ხალხის მოძრაობას ვადევნებდი თვალყურს
გამოფხიზლებული ხალხი შეხუთული ვაგონიდან
ნელნელა გარეთ გამოდიოდა, და სულ ცოტა
ხნის შემდეგ მატარებლის ორივე მხრივ აზიდულ
პაწია ბორცვებზე მგზავრები დაღონებული
ბელურებივით ჩამოსხდნენ. ბარემ მეც მინდოდა
ძირს ჩასვლა და ელექტრომაგვალის დათვალეირება,
მაგრამ მამაჩემმა არ გამიშვა და ისევ ფანჯრიდან
განვაგრძე ცქერა.

— არიქა, ხალხო, მატარებელი მოდის. მა-
ტარებელი! გაისმა გარედან ვილაკას ხმა და
ხალხი ხელმეორედ დაფეთიანდა.

— ეგ დამხმარე ორთქლმაგვალთა, დამხმარე...
წიდან მემანქანემ სადგურზე კაცი გაგზავნა — ვე-
რაფერი ვერ მოუხერხეთ და გვიშველეთო.

— ჰო, ჰო, მართლა. შეხე რა დინჯად მო-
დის, იმ სამ თვალს როგორ მოაქყეტს!

მეც გავიხედე... ჩვენი ბებერი ქშიტინა სად-
გურის მიმართულებიდან ისე წყნარად მოდიოდა,
ყველა დარწმუნდა, რომ ჩვენს საშველად იყო წა-
მობრძანებული. არც ერთი ვაგონი არ შენძრე-
ულა, ელექტრომაგვალი ისე ფთხილად ჩაება,
თანაც ერთი თავისებურად ზორბად დაიღრიალა
და ობერმა რომ სასტვენის ააქციტინა, ერთი კაცი
ძირს აღარ დარჩენილა, ისე სწრაფად შეიხუნხლენ
თავიანთ ვაგონებში. ჩვენი ბებრეკი უარესად
აქშიტინდა, ორთქლის ისრები აქეთ-იქით გა-
ტყორცნა, თავის გარშემო პატარა ნისლი დააყენა
შემდეგ ერთხელ მოკლედ კიდევ წამოიყვირა
და დინჯად დაიძრა...

გენო ამ ლაპარაკის დროს ზღვისკენ იცქი-
რებოდა. ლურჯ ჰორიზონტზე გამოჩენილი ოთხ-
მილიანი გემი ზღვის ფირფისფერ ფონზე შე-
წყეტლად მოკურავდა და შავადვე დაკლაკნი-
ლი კვამლით ოქროსფერ ცის სივრცეში რაღაცებს
ხატავდა.

ქვემოთ თეთრად გაპნტილ ზღვის ნაპირებს
ტიტველა ხალხი მისხდომოდა და მის დაუყენე-
ბელ ბორგვას და მწვანე, გამჭვირვალე ტალ-

ღების რხევას სიამოვნებით გაჰყურებდა. ზოგი ბანაობდა, პაწია ბავშვები ცხელ ქვიშაში მალაყს გადადიოდნენ.

გენო ზღვისაკენ იცქირებოდა და ლაპარაკს ისევ განაგრძობდა.

— ჰო და შორაპნის ხიდზე რომ შევდექით, უცებ ახლა ჩვენ ქშიტინას რაღაც... ვაიმე... მასწავლებელიო! — უცებ შეწყვიტა სიტყვა ბავშვმა, თვალის დახამხამებაზე წამოვარდა, ერთი-ორი ნახტომი გააკეთა, პატარა ბავშვებს თავზე გადაახტა და ზღვისაკენ შურდულივით გაქანდა.

ბავშვები დაფეთებით წამოაცვიდნენ. ყველამ თვალი გააყოლა, ზოგმა ზღვისაკენ გაიწია.

— ადგილიდან არავინ დაიძრას! — გაისმა მტკიცე განკარგულება, და ფერმიხდილი, შეშინებული ბავშვები ერთ ალაგას გაჩერდნენ.

ყველას კისრები დაეძაგრა, ყველამ გაფაციცებით ზღვისკენ იწყო ცქერა, მრავალ მათგანს სახე წითლად აელეწა, ზოგი მთლად გაფითრდა და შეშინებული სახით დაუწყეს ამხანაგს ყურება. ეგონათ გაგიჟდა და ზღვისკენ იმნაირად იმიტომ გაქანდაო.

გაქცეულ გენოს ფეხდაფეხ მისდევდა პიონერთა ბანაკის მეორე ხელმძღვანელი, მაგრამ სანამ ის წამოეწეოდა, გენომ ზემოთა საცვალს ხელი გაჰკრა, დაფლეთილი პერანგი იქვე დააგდო და მწვანედ აგორებულ ტალღებში გადაეშვა. სანამ ვინმე მიხვდებოდა რამეს, გენო მაგარი ხელის მოქნევით ზღვის ტალღებს არღვევდა და წინ მიიწევდა.

ზღვის პირად მსხდომმა ხალხმა ყვირილი ატეხა:

— ჩქარა დირექტორს შეატყობინეთ... მენავეები მოძებნეთ, ჩქარა, თორემ დაილუპება! მაგრამ სანამ მენავეები და მცურავები მიემეღებოდნენ, გენომ ზღვის სიღრმეში ბატივით ჩაიყურყუმალა და წუთის შემდეგ თავი ფრუტუნით რომ ამოყო, ცალი ხელი თითქმის ზღვის უფსკრულს მისცა, მეორეთი კი იწყო მოქნევა. უცებ ტალღა ზურგს უკან წამოეწია. გენომ თავი მალლა ასწია და ტალღას მსუბუქად აჰყვა. ამ დროს ტალღის თეთრ ქაფში ვილასიც ფეხი გამოჩნდა.

— უი, უი, გადაარჩინა, გადაარჩინა, ჰაი, შენი კირიმე, ბიჭო! — გაისმა ერთ ადგილს.

— არიქა, უჭირს, ბავშვს გვამის გამოთრევა უჭირს... უშველეთ... ჩქარა...

— ვაიმე, ვაიმე, ტალღამ უკანვე გაათრია, ჩქარა თოკი მაინც გადაუგდეთ... მაგრამ აღარაფერი აღარ იყო საჭირო. რამდენიმე წუთის შემდეგ მკვეთრმა, დაძარღულმა მკლავებმა ზღვის კალთები შეაჰყაპუნეს, და გენოს მისამველებლად შვიდმა მცურავმა გასწია. ჩრდილოეთის მხრივ თეთრაფრიანი ნაეც წამოვიდა, და ერთ ადგილზე შეჩოჩოლებული ხალხი უარესად ახმაურდა. ყველაზე უწინ მენავე ჰასანა აბესაძე მიცურდა...

— ხელი გაუშვი! — უყვირა გენოს, თვითონ ცოტა ხნით ჩაიყურყუმალა, უკვე გულწასულ ქალს თმებში ხელი წასტაცა და ნაპირისაკენ მოატრიალა.

ჰასანამ ტალღები ფეხებით შეაჰყაპუნა, ცალი მკლავი ნიჩაბივით დოვლათიანად მოუსვა და ნაპირისაკენ გამოსწია. ამ დროს სხვებიც მიემეღდნენ, მაგრამ ჰასანა გაჯავრებულივით თავს არხვედა და ცალი ხელით ისე მძლავრად მუშაობდა, რომ ტვირთს ნაპირისაკენ ნაფოტივით მსუბუქად მიაქანებდა.

— შენი კირიმე, შვილო, შენ გაეზარდე შენ დედას, გმირო ბიჭო! — სასაოებით მიუალერსა ნაპირზე გამოსულ გენოს ვილაც მოხუცმა ქალმა.

— უი, ეს ყმაწვილი რომ არა ყოფილიყო, ნამდვილად დაიხრჩობოდა! ყოჩაღ, ბიჭო, ყოჩაღ შენს ვაჟკაცობას! — გამოეხმაურა მეორე, მას მოჰყვა მესამე. გენოს შერცხვა. ფიქვნარისკენ



გატრიალდა. ჰასანამ ვაგუდული ქალი ნაპირზე გამოიყვანა თუ არა, ფეხში ხელი სტაცა და ზევით აწიდა. დანარჩენი მკურავებიც მიეშველნენ. ქალი ყირამალა დაიჭირეს, და გონებამიხდილ, ტუჩებგალურჯებულ და მკვდარივით გაყვითლებულ ქალს ყელში რაღაც აუხრიალდა. ცოტა კიდევ — და პირიდან მაჯის სიმსხოდ წამოსკდა ჩაყლაბული წყალი.

მკვდრის მსგავსი, მუცელგაბერილი ქალი საზარელი სანახავი იყო, და ხალხიც ყოველმხრივ აწუწუნდა:

— ნეტა ეგ საცოდავი აგრე შორს რად მიდიოდა, თუ ცურვა არ იცოდა!

— ზოგი რა დაუდევარია, ხომ ხედავდა, რომ ზღვა დღეს ბორგავდა?!

— ალბათ, ფეხი აუცდა და ტალღამ მოიტაცა, თორემ თავის უბედურებას თვითონ ხომ არ მოინდომებდა!

— არიქა, ექიმი მოდის, ექიმი... აგერ საკაცეც მოაქვთ... გზა მიეცით, გზა! დრტვინავდა ხალხი და, ქალის დასანახავად, შედედებულ ბრბოში უფრო წინ იწევდა.

ზემოთ ფიქვნარში უკანვე დაბრუნებულ გენოსაც ბავშვები შემოაპნებოდნენ და ისეთი სიყვარულით, ისეთი სიხარულით შესცქეროდნენ, რომ გენომ აღარ იცოდა სად წასულიყო.

— იცი, გენო, შენ რომ უცებ გავარდი, მე მეგონა გავიყდი და გული გადმომიტრიალდა...

— მოკვდა თუ გადარჩა ქალი?
— ხომ არ დაიღრჩო, გენო?
— აი ყოჩაღ, ჩვენო გენო, ყოჩაღ! — ეუბნებოდნენ ამხანაგები და გენოს სიყვარულით გარშემორტყმოდნენ.

ამ დროს სამხედრო სანატორიუმის ზარი აგუგუნდა...

— ოჰო, ეგეც ვახშამი... ვახშამზე გვებატივებიან! — წამოიძახა ლეომ და ფეხზე წამოაღვა.

— გენო, ის საწყალი ქალი ამ საღამოთი ვახშამს ველარა ჰამს, არა — გამოეხმაურა აქამდის გენოს წინ ჩუმად მდგომი შვიდი წლის ირაკლი. ყველამ ხმამაღლა გაიციინა, ირაკლის შერცხვა და გენოს მკლავზე ხელით ცაცუნის დაუწყა.

სანატორიუმის ზარს რკინისგზის დასასვენებელი სახლის ზარმაც ხმა მისცა, და როცა სარეწაო კავშირის დიდმა ზარმა დაიგუგუნა, პიონერებიც წამოიშალნენ. ვახტანგმა თავის საყვირს ჩაჰბერა, და ბავშვები ერთ წამში მწყრივში ჩადგენ. ლამაზი ხეივანი ბავშვები ცოცხალ კრილოსანივით რომ გაემართნენ დიდ დარბაზისაკენ, კრინტი, ხმა აღარავის დაუძრავს.

— ერთი, ორი, სამი! — ისმოდა გენოს მკვეთრი ხმა, და ბავშვებიც ყავისფრად გარუჯულ ფეხებს მის ხმას რითმულად აყოლებდნენ.

ცქვიტი

ა ლ გ მ ე ი *

(დასსრული)

მეორე დღით ქეთო აღრიანად მივიდა სკოლაში. დერეფანში, ფანჯრის თაროზე, რეზონინიძე ჩამომჯდარიყო. ის ფეხებს აქანავებდა და წითელლოყა ვაშლს ახრამუნებდა.

ქეთოს დანახვაზე რეზო ერთიან გაბრწყინდა.

— ჰი-ჰი! ჩაიხიბიხითა — ბიჭმა, — არც კი გრცხვენია.

— რისა — გაკვირვებით იკითხა ქეთომ და მხარი აიჩეხა. — ვერ ვამიგია, რას ამბობ?

— ჰი, რა სერიია! — ზეიმობდა რეზო.

საათის ისრები ცხრას მიუახლოვდა. დერეფანი ბავშვებით აივსო, ყველას რაღაც ემჩნეოდა. ქეთოს შეხვედრას ისინი ერთმანეთს გადახედავდნენ და ჩურჩულს ატყებდნენ ხოლმე.

— რა მოხდა? — შეშფოთდა ქეთო. — ჩემზე იცინიან, რა ვქნა, საცვალი ხომ არ მიჩანს?

1) დასაწყისი იხ. ჟურ. „პიონერის“ № 9.

გოგონამ ცარიელ საკლასო ოთახში შეი-
ბინა და ტანზე დაიხედა. საიმისო არაფერი ჩან-
და. უკვე შეფიქრიანებული გამოვიდა ქეთო დე-
რეფანში. მას ხმამაღალი სიცილი მიაგებეს.

ქეთომ ტუჩი მოიკენიტა. ის ცდილობდა
თვალი აერიდებია ამხანაგებისათვის. მან ყური
მოჰკრა მაყვალას სიტყვას: „იტყლარჰება“.

საკლასო ოთახში მასწავლებელი ნიკო შემო-
ვიდა. ქეთომ თავის მერხს გვერდი აუარა და
ბოლოში ჩამოჯდა ცარიელ მერხზე. მაყვალა
მარტო დარჩა.

გაკვეთილის გათავებისთანავე ქეთო სამასწავ-
ლებლოსაკენ გაექანა ცხრილის სანახავად. ის
იყო სახელურს მოეჭიდა და კარის გამოღებას
აპირებდა, რომ უცებ შედგა. სამასწავლებლო
ოთახის პირდაპირ, კედელზე ორი დაფა ეკიდა.
ერთ დაფაზე ვწერა:

„მიღწევათა დაფა“

მეორეზე კი:

„წუნის დაფა“

„მიღწევების დაფაზე“ რვეული იყო მიბნე-
ული. ქეთომ წამსვე იცნო იგი. ეს ხომ მისი
საკუთარი რვეული იყო. გრამატიკის რვეული.
„წუნის დაფაზე კი... წუნის დაფაზე ქეთოსავე
აღბომი ეკიდა, — სწორედ ის ლექსთა აღბო-
მი, ხავერდისყდიანი.

მეორე გაკვეთილზე ქეთო აღარ ჩანდა. ბა-
ვშვებმა დარაჯ ქალისაგან გაიგეს, რომ ის შინ
წასულიყო.

მეშვიდე გაკვეთილის შემდეგ ბაზის თათბი-
რი იყო. მაყვალამ დაიგვიანა. როცა ის პიო-
ნეროთახში შევიდა, თათბირი უკვე თავდებოდა.


ოთახში ბოლოსა სცემდა ბაზის ხელმძღვა-
ნელი შოთა.

— აი ჭკუისკოლოფა კიჭყინებო, — ამბობ-
და შოთა, — ხედავთ, რა მოიმოქმედეთ? მიდით
ახლა და ირიკავეთ! ჩემის აზრით, თქვენი საქ-
ციელი ყოველად უმსგავსია. დიახ, უმსგავსი და
უადგილო!

— აღბომი, — მოისაზრა მაყვალამ.

— ქეთო კარგი პიონერია, — განაგრძობდა
შოთა. — ის კარგი მოწაფეა. აღბომი? რას იხამ,

ლაქები ხომ მზესაც ახლავს. მაგრამ თქვენ, და-
რბაისლებო, სანამ ამ აღბომს გამოკიდებდნენ, —
უნდა მოგეფიქრებიათ, აგეწონ-დაგეწონთ: ან
ლა კი...
11



— მაშ აღბომი მშვენიერი საქმეა, რაღა! —
შეაწყვეტინა რებომ.

— ჰი-ჰი! — ვინ ამბობს მშვენიერიყო. —
შეჰყვირა შოთამ და ხელები ამოძრავა. — ასეთი
აღბომი, რა თქმა უნდა, უსარგებლო რამ არის,
სასაცილოა, ეს, ასე ვთქვათ, ძველი ქვეყნის
ნაშთია, და პიონერი არ უნდა მისდევდეს ასეთ
სისულელეებს. ეს ცხადზე უცხადესია.

მოითმინეთ, — წამოდგა უცებ ამხანაგი ნი-
კო, — მე პროტესტს ვაცხადებ. ვითომ რატომ
არ უნდა იქონიოს პიონერმა აღბომი? ეს სუ-
ლაც არ არის ცუდი საქმე. მე ვერ გამიგია, რად
ესხმით ყველანი თავს ქეთო ჩხარტიშვილს, მას
ხომ მე ვურჩიე აღბომი გაეჩინა.

— რაო? — შეჰყვირა შოთამ, — თქვენ ურ-
ჩიეთ?

— სწორედ მე, — აუშფოთებლად განაგრ-
ძობდა ამხანაგი ნიკო. — მერე და აქ საიმისო
რა არის? მე ყველასაც გირჩევთ იქონიოთ აღბო-
მები, სადაც ჩაწერთ კარგ ადგილებს წაკითხულ
წიგნებიდან, ლექსებს, რომლებიც მოგეწონებათ.
ეს თქვენ ყოველთვის გამოგადგებათ ცხოვრ-
ებაში. ქეთო ჩხარტიშვილის აღბომი, რა თქმა
უნდა, არ ვარგა. მაგ ყიდის ლექსები და ნახა-
ტები გემოვნებას გააფუჭებს მხოლოდ, არა-

ფერს კი არ გვასწავლის. მე, მართალი რომ ვთქვა, ვერ გამიგია, რაღა ჩემი რჩევის შემდეგ შეიძინა ქეთომ ასეთი ალბომი.

— ეს ძველი ალბომი, — წყნარად ჩაუბრუნა მაყვალამ, მაგრამ მისი სიტყვებისათვის ყურადღება არავის მიუქცევია.



— მიუხედავად ამისა, — განაგრძობდა ნიკო, — მე ვეთანხმები შოთას: თქვენ ძლიერ არამხანაგურად მოექცით ქეთოს.

— რა თქმა უნდა, — თქვა შოთამ, — მე მხოლოდ ის მაინტერესებს, ვინ იფილოსოფოსა ასე მშვენიერად, ვინ მოიფიქრა ეგ საქმე?

მაყვალამ ნერწყვი გადაუღალა.

— აბა, — განაგრძობდა შოთა, — ვინ?

— კლასკომმა... — საცოდავად წამოიკნაველა მაყვალამ, წამოდგა და დასძინა: — მე არ მეგონა, შოთა, რომ ასეთი რამ გამოვიდოდა, პატიოსან სიტყვას გაძლევ, არ მეგონა.

— დარბაისლები! — თქვა შოთამ, — ჭკუისკოლოფა ჭიკყინები! — ის კიდევ დიდხანს ლაპარაკობდა გესლიანად და დამაჯერებლად. მაყვალას არაფერი ესმოდა.

„როგორ მოხდა ეს ამბავი?“ — ფიქრობდა ის.

მაყვალამ უცებ მარჯვენა ხელი ასწია და მოჰყვა თითების გადაკეცვას. მოიგონა, რომ შარშან ქეთო ქართულში დაეხმარა მას. ეს ერთი თითი; ქეთო პირველი მოსწავლეა, მას ყველა საგანში „წარჩინებული“ აქვს, — ესეც ორი. ქეთო ურთიერთდამხმარე წრის თავჯდომარეა. ქეთო სანიტარია... და ბოლოს, მაყვალამ მოგონა, რომ ქეთომ ამასწინათ მისი თეატრის ბილეთის საფასური გადაიხადა. ხელზე მეტი თითი აღარ იყო.

მაშინ მაყვალამ მარცხენა ხელი მოიშველია და ქეთოს ცუდი მხარეების გადათვლას შეუდგა.

— ალბომი, — ერთი. ნაზიბროლა — ორი შემდეგ... შემდეგ ცისფერი ბერეტი — სამი და კიდევ... არაფერი.

შოთა კიდევ უფოთავდა.

— გრცხვენოდეთ! იძახდა ის, — სიფრთხილე ვერ გამოიჩინეთ!

მაყვალამ შეკრეპილი თავი გადიქნია, წამოდგა, გავიდა და კარი წყნარად გაიხურა.

რეზო ნინიძემ წინადადება შემოიტანა, ალბომი მოეხსნათ წუნის დაფიდანო.

— მოეხსნათ! — დაადგინა ბაზის თათბირმა.

ბავშვები აიშალენ. აჯახუნდა კარი.

ყველანი სამასწავლებლო ოთახისაკენ გაექანენ. თვითოულს უნდოდა თავისი ხელით ჩამოეგლიჯა ალბომი. ყველაზე ბოლოს ქაქანიტა და ხენემით მიიჩქაროდა ამხანაგი ნიკო.

პირველმა რეზო ნინიძემ მიიბრინა დაფასთან. ის იყო ხელი გაიწოდა ალბომის მოსაგლეჯად, რომ უეცრად გაშეშდა:

— ესეც შენი ფლაფი! — შესძახა მან, ალბომი სადაა?

წუწუნის დაფა დაცარიელებულიყო. ალბომი აღარსად ჩანდა.

მაყვალა სკოლიდან ბრუნდებოდა. ის ფართოდ მიაბიჯებდა და ქეთოზე ფიქრობდა. ხელში წიგნების ჩანთა ეჭირა, ჩანთიდან კი ქეთოს სახელოვანი ალბომი ამოჩრდილიყო.

მაყვალა თავს დამნაშავედ გრძნობდა.

— წვეს ახლა, ალბათ, ქეთოთა თავის ლოგინზე და პატარა ბავშვივით ფლიკვინებს, — ფიქრობდა გოგონა, — რა ხათბალა გამოვიდა, ჰა!

მაყვალამ მდინარისაკენ გაუხვია. აქ ციოდა გოგომ ფეხს გაუჩქარა. ამ დროს გაიღიმა, რაღაც პატარა ლანდს მოკრა თვალი. ბინდბუნდში მან ცისფერი ქუდი გააჩია.

— ქეთოა თუ არა? ქუდი თითქოს მისია... მაგრამ იქ რა უნდა?

უცებ მაყვალა გაშეშდა.

ქეთომ ხიდქვეშ ჩაუხვია და დაქანებულ ბილიკს დაადგა, პირდაპირ მდინარისაკენ.

— ქეთო! — შეეყვრა მაყვალამ და მოყვა ჩანთიანი ხელის ქნევას, — ქეთო! მოიცა!

მაგრამ ქეთო ყურს არ უგდებდა. ის სულ ქვეით მირბოდა და ბოლოს გაქრა.

მაყვალამ მკლავები ჩამოუშვა და მოინერწყვა, დაბნეულად მიმოიხედა. ირგვლივ არავინ ჰაჰანებდა.

— თავი დაიხრჩო, — წამოიკნავლა გოგონამ, — ნამდვილად თავი დაიხრჩო!

მაყვალა შიშმა აიტანა. მან კიდევ ერთხელ მიმოიხედა და მოკურცხლა იმ საშიში ადგილიდან...

ქეთომ წყნარად აავსო წყლით დოქი და იმავ ბილიკით ნაპირზე ამოვიდა. მან შეიფერთხა დაცვარული კალთა, დოქი ხელიდან ხელში გადინაცვლა და სწრაფად გაუდგა გზას.

„ნეტავი კი არ დავიგვიანო! — ფიქრობდა ის შინისაკენ მიმავალი, — მაცადონ მაგ ჰინკებმა! ისეთი რამ გამოვეუცხო, რომ სულ ყელზე დაადგეთ. მაცადონ მაყვალამ“.

გოგონას აზრადაც არ მოსვლია, რომ მაყვალამ, მისი მიხეზით, ასეთი შიში გამოიარა.

აი სკოლა. ფანჯრები განათებულია. ახლა, ალბათ, ყველანი იქ არიან, საუბრობენ... არა, ქორაობენ მასზე. ქეთოზე. ქეთომ წარბი შეიკრა და ოდესღაც საყვარელ შენობას მტრულად აუარა გვერდი.

ნახევარი საათის შემდეგ დოქი რომ დედას ჩააბარა და უკან გამობრუნდა, უკვე საკმაოდ ბნელია. ახლა ქეთოს ხელში ალბომი ეჭირა. უბრალო მწვანეყდი-ნი ალბომი, რომელსაც ოქროს ასოებით ეწერა: „პოეზია“.

ეს ალბომი გოგონამ ერთი კვირის წინათ შეიძინა და უცნაურის გულმოდგინებით ავსებდა მას სხვადასხვა ლექსებით.

მოსახვევში ქეთო გაკაშკაშებულ ვიტრინასთან შედგა და ალბომი გადაშალა. პირველ გვერდზე კმაყოფილებით ამოიკითხა შემდეგი:

„დაჰკა, დაჰკა გრდემლს ჩაქუჩი,
დაჰკა, დააგრიალე!
მძარცველი და შრომის ურჩი
მოსპე, გაატიალე!“

ეს გიორგი ქუჩიშვილის ლექსი იყო, რომელიც ასე მოსწონდა ქეთოს. შემდეგ მოდიოდა ილია ჭავჭავაძის „პოეტი“:

„მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო
ვით ფრინველმა გარეგანმა; ეტყობოდა
არა მარტო ტკბილ ხმათათვის
გამომგზავნა ქვეყნად ცაშა“.

ამას მოსდევდა ალიო მაშაშვილის ლექსი, რომელიც ასე იწყებოდა:

ჩვენ ვართ პატარა ლენინელები,
მოვალთსიმღერით, ცეკვით, დარით...

ქეთომ თავმომწონედ დახურა ალბომი. გოგონას თვალები უბრწყინავდა.

— აჰა, თქვენი გულები! დამაცადეთ, მე თქვენ ისეთ გულებს და ვარდებს მოგცემთ, რომა... ასეთი ალბომი ხომ ყველას უნდა ჰქონდეს. ეს ხომ თვით მასწავლებელმა ნიკომაძე გვითხრა!

ქეთომ ფრთხილად ჩაიღო ალბომი უბეში, რომ არ დასველებულიყო, და მოუსხვა სკოლი საკენ.

ხილზე შედგა. გალმიდან მაყვალა მორბოდა.

ქეთოს შინ მისვლასა და დაბრუნებაში მაყვალა ტალახიან ქუჩებში დაბორილობდა. მას რაღაც ეწეოდა მდინარისაკენ. ბოლოს გოგონამ ველარ გაძლო და დაბრუნდა. ახლა ის ქეთოს მშობლებთან მიემურებოდა, რათა მათთვის ეცნობებია შვილის დაღუპვა.

და აი...

— ქეთო! — გიჟივით შეჰყვირა მაყვალამ, — შენ ცოცხალი ხარ?

— რაო? — გაიკვირვა ქეთომ.

მაყვალას შერცხვა წელანდელი შიშის გამხეღისა და ფრთხილად ჰკითხა:

— წელან წყალზე რას აკეთებდი?

ქეთომ ყოყმანის შემდეგ მიუგო:





— წყალი ამოვიტანე. ჩვენთან ონკანია გაფუჭებული.

გაჩუმდენ.

— ბრაზობ? — გაუბედავად შეეკითხა მაყვალა და ოდნავ უკან დაიხია. — გასაჯავრებელი არაფერიც არ არის. აჰა, შენი ალბომი, ჩაიბარე.

და ალბომი გაუწოდა, ის ცნობილი ალბომი, ხავერდისყდიანი.

ქეთო ღუმდა ჯიბეებში ხელჩაწყობილი.

— წაიღე, რალა, ქეთუა, — არ ეშვებოდა მაყვალა, — აბა რაღას ბრაზობ!

— მოიტა, — თქვა ქეთომ, ჩამოართვა ალბომი, ჩასქიდა მაყვალას ხელი და ხიდის სახელურთან

მიათრია. აქ, ელნათურის შუქზე, ალბომს ფანქრით დააჯღაბნა შემდეგი:

„ძვირფას და საყვარელ მაყვალას — ქეთოსაგან“.

მაყვალამ თვალები დააქყიტა:

— ხომ არ გაგიჟდი, შენი ალბომი მე რად მინდა!

— სახსოვრად. — თქვა ქეთომ. მით უმეტეს, რომ მე ახლა სხვა ალბომი მაქვს. გინდა გაჩვენო? აჰა!

და ამაყად გაუწოდა თავისი მწვანე ალბომი.

მ. მიქელაძე

ლონგფელო

თარგმანი მიქელ შატარძისა და გივი გაჩეჩილაძისა

ჰაიავათას სიმღერა*)

თავი VII

ჰაიავათას ნახი

„არყის ხეო, მომეც ქერქი,
ყვითელი და ხმელი ქერქი!
არყის ხეო, ველზე მდგომო,
ამართულო ნაკადულთან!
ქერქისაგან შევკრავ ნავსა
და მჩატე ნავს ვავაკეთებ;
წყალში ისე შეცურდება,
ვით ფოთოლი შემოდგომის,
დამქენარი და ფერწასული,
და ყვითელი ტბის ყვაილი.“

არყის ხეო! მოიხსენი
ეგ ნაბადი თეთრი ტყავის:
ზაფხული ხომ მალე მოვა
და მზე ციდან დაგწვავს სტივით,
რალად გინდა ეგ ნაბადი!“

და მქუხარე ტოკემინთან
და უსიერ ტყეთა ტევრში
ეს წარმოთქვა ჰაიავატამ,
როცა ყველა ფრინველები

ქიკიკობდენ, უმღერიდენ
ფოთლის თვეს, და მზე მალლიდან
იძახოდა: „მე ვარ გიზის,
მე გიზისი და მზე დიდი“.

ფესვებამდის აცახცახდა
არყის ხეზე ყველა ტოტი,
და ამბობდა ხე მორჩილი:
„ჰა, ნაბადი, ჰაიავატა!“

ტოტებს ქვევით, ფესვებს ზევით
ხის ტანს დანა შემოავლო,
შემოსერა ჰაიავატამ,
და ხეს წვენი ჩამოსდინდა;
მერე ქერქი კენწეროდან
ფესვებამდის გაჭრა დანით,
აუწია პირი სოლით,
მოაცილა ფრთხილად ქერქი.

„კედრო, მომეც მწვანე შტონი,
ტოტი მტკიცე და ღრეკადი,
მომეხმარე, რომ ავაგო
ნავი კარგი და მაგარი“.

და კენწერო კედრის მაშინ
შეშფოთებით აშრილდა,
ატყდა კენესა, ბრძოლა დიდი,

*) მთლიანი წიგნი ახლო მომავალში გამოიცემა სახელგამის საბავშვო და ახალგაზრდ. ლიტერატურის სექტორის მიერ.

რ ე და ქ ც ი ა.

მაგრამ მალე თქვა მორჩილად:
„ჰა, მოჭერი, ჰაიავატა“.

როცა მოჭრა კედრის ტოტი,
ტოტებიდან შეკრა ჩარჩო,
გადალუნა როგორც მშვილდი,
შეკრა როგორც ორი მშვილდი.

„მომეც ფესვი შენ, ტემრეკო!
ბოჭკოვანი მომეც ძირი,
შევკრავ ფესვით ჩემ ნავს მსუბუქს,
ისე შევკრავ ფესვებითა,
რომ წყალი ვერ შეეპაროს,
ვერ გაჟონოს ნავში წყალმა“.

და თავიდან ფესვებამდის
აკანკალდა ხე ტემრეკი,
მაგრამ მალე მძიმე ოხვრით
წასჩურჩულა სევდით ნელა:
„ყველა გქონდეს, ჰაიავატა!“

ამოთხარა მან ფესვები,
ამოაძრო ბოჭკო ფესვებს,
და შეკრა მჭიდროდ ქერქი,
შემოარგო მჭიდროდ ჩარჩო.

„ნაძვო, მომეც ფისი შენი,
მომეც ფისი, წვენი შენი, —
ნაწიბურებს ნავში შევკრავ,
შემოვგმანავ კარგად ფისით,
რომ შიგ წყალი არ შევიდეს,
არ გაჟონოს წყალმა ნავში“.

როგორც ქვიშა ზღვის ნაპირას,
აშრიალდა ისე ნავი
თავის შავი მორთულობით
უბასუნა ნაძვმა კენესით,
უბასუნა თვალზე ცრემლით:
„შეაგროვე, ჰაიავატა!“

შეაგროვა ნაძვის ცრემლი
და აიღო წელა ფისი,
ნავის ყველა ნაწიბური
გამოტენა კარგად ფისით
და დაუხშო ტალღებს კარი.

„მომეც, ზღარბო, შენი ნემსი,
ეგ ეკლები მომეც ბევრი,
რომ ლამაზი ნავის ყელი
დავამშვენო ფერად მძივით,
დავამშვენო ვარსკვლავითა!“

ფულუროდან ჰაიავატას
გამოხედა ზანტად ზღარბმა
და ეკლები ფულუროდან,
ვით ისრები მოელვარე,
გამოტყორცნა, გადმოყარა
თან ბუზღუნით უთხრა ასე:
„შეაგროვე, ჰაიავატა!“

და აკრიფა ეს ეკლები
ისრებივით მოელვარე
და შეღება წითლად, ყვითლად,
ლურჯად, მწვანედ ეს ნემსები
მარცვლეულის ფერად წვენი.
შემდეგ მორთო უტხოდ ნავი:
გაუკეთა ჭრელი ღვედი
და ძვირფასი ყელსაბამი
და ვარსკვლავი მკერდზე ორი.

ააშენა ასე ნავი
მდინარესთან, მინდვრის პირად;
და დაბურულ ტევრის პირად
ამ ტყეების შთლად სიცოცხლე,
საიდუმლო ყველა მისი:
ხის ტოტების მოქნილობა,
გამძლეობა კედრის ტოტის
და სიმჩატე არყის ხისა
ჩააქსოვა კაცმა ნავში.
ნავი წყალზე ირხეოდა
ვით ფოთოლი შემოდგომის
და ყვითელი ტბის ყვავილი.

არ გააჩნდა ნავს ნიჩაბი,
ნიჩაბი არც სქირდებოდა,
ნიჩაბად ჰქონდა ამ ნავს აზრი,
ნებისყოფა ჰქონდა საქედ;
გაუსწრებდა თუგინდ ქარსაც,
ყველა გზები იყო ხსნილი.

როცა მორჩა ნავზე შრომას,
დაუძახა კვაზინდასა;
— მომეხმარე, მეგობარო,
რომ მდინარის კალაპოტებს
მოვაცილოთ ხერგი, ლექი!

და კვაზინდა ჩახტა წყალში,
გადავარდა როგორც წავი
და თახვივით იწყო ყვინთვა.
ხან სწვდებოდა წყალი წელზე,

ხან უწევდა ნიკაპამდის;
ყვიროდა და ყვინთაობდა,
ყრიდა ზევით ხერგს და ჯირკებს
და პეშვებით ქვიშას მძიმეს,
ფეხებით კი ლეკს და ბალახს.

ჰაიავატამ გადაცურა,
ტაკვამინას ზვირთებს ვაჰყვა
კვაზიმანდას ნაკვალევზე,
გადღუარა მორევს, ჩქერებს,
ნატბორევს და ლამს და რიყეს.

და გაცურეს ზევით, ქვევით,
ყველგან იყვნენ, ამოყარეს
ფესვები და ჯირკნი წყლიდან,
ქვიშა, რიყე და ნალექი
და გაწმინდეს წყალზე გზები
პირდაპირი, უშიშარი,
სათავიდან შერთულამდის,
პოვეტინის მდინარემდის,
ტოკვამინოს წყლის ყურემდის.



ზამთრის — — საბზალი

1.

შემოდგომის გრილი ამინდები დაიწყო.

ქარი შარიშურით დასრიალებს შემოსულ სიმინდის ყანებში. ქარვისფერი ყურძნის მტევნები ვაზის გრძელ რტოებს აძიმებს. გლეხები მიაჭრიანლებენ ურმებს, ზოგს სიმინდი მიაქვს შინ და ზოგს ყურძენი...

2

სოფელში დიდი ხმაურია.

უსაზღვროა გლეხების სიხარული.

ბავშვები შემოდგომას ყველა დროზე უკეთესად თვლიან. ისინი ამ დროს სულ ვენახებსა და სიმინდებში დაძვრებიან.

მათ ყურძენი უყვართ...

ყურძენი პატარებს კი არა დიდებსაც ძალიან მოსწონთ, ამიტომ ისინი რთველს დროს იშვიათად უჯავრდებიან ბავშვებს...

3

ლევანა გელაშვილი ერთი პატარა ცუგრუმელა ბიჭია. მან ყველას მოასწრო ახლადშემოსული ყურძნის გასინჯვა.

ლევანა სოფლის სკოლაში სწავლობს.

იგი სამი წლის წინათ შევიდა იმ სასწავლებელში, ახლა მეოთხე კლასშია. ლევანას უბნიდან სკოლაში ათი ბავშვი დაიარება...

ისინი სიცილ-კისკისით მირბიან ხოლმე სკოლაში და გამაცოცხლებელი ყიჟინითვე ბრუნდებიან უკან.

ბავშვები სკოლამდის ვიწრო ბილიკებით მიდიან. ბილიკი ყანებს შუაზე ჭრის და ვენახებს კი სანაპიროებზე მისდევს.

4

შემოდგომის დილის საამური მზე ნაზად აფრქვევს არემარეს თავის სხივებს.

ბავშვები მიხტან სკოლისკენ და მათი ხალისიანი ყიჟინა მთელ მიდამოს აყრუებს.

— აი, ბიჭებო, შეხედეთ, იმ ვაზებზე რამხელა მტევნები კილია...

— უჰ, დედა, რა კარგია! — წამოიძახა ლევანას გვერდში მდგომმა.

— მოგწონთ?

— ძალიან, — გაიმეორეს ერთხმად.

ლევანამ გაიღიმა.

— მე დღეს უკვე ვქამე ყურძენი, თორემ... მან აზრი აღარ დაამთავრა.

სხვებმა ყურები დაცქვიტეს.

— ნეტე რა, რომ არ გექამა?

— ჰო, მაშინ აი ამ ვენახში გადავტებოდი, მოვწყვეტილი რამდენიმე მტევანს და პირს ჩავიტკბარუნებდი, — სახის სერიოზული გამომეტყველებით უპასუხა ლევანამ ამხანაგს.

რამდენიმე ბავშვი შეექცა.

ერთმა კი უცებ წამოიძახა:

— მე გადავტებო, — და შურდულივით შევარდა ვენახში, მოწყვატა ერთი მტევანი და მეორეს წაატანა ხელი.

— უუუ, უუუ, ქურდი! — დაიყვირა ერთმა.

— ბიჭო, ეგრე უნდა მოტყუედე? ჰაი, შეგლახა, შენა! — მიძახა ლევანამ.

ბავშვს შერცხვა.

მან მოწყვეტილი მტევანი გადააგდო და დარცხვენით გამოვიდა ვენახიდან.

ის შორიახლოს დადგა, მიხვდა, რომ ლევანას ხუმრობამ შეაცდინა.

5

ლევანა სკოლიდან თავის დროზე დაბრუნდა.

სოფელში რთველია გაჩაღებული

ლევანას მამა ვეება გოდრით ეზიდება ყურძენს და საწნახლის გავსება ეჩქარება. ლევანამ სადილობის შემდეგ დანა აიღო და ყურძნის საკრეფად დააპირა წასვლა. მან სადილი ნაკლებად

ქამა, რადგან ვენახში წასვლა უნდოდა. იქ კი ტკბილი ყურძნით ჩაიგემირიელებდა პირს.

მამას მხარზე გაედგა სავსე გოდორი, რომელსაც ოქროსფერი ყურძენი ქუდივით ეხურა ზემოდან. გადახრილ მზის სხივებზე ცოლიკოურის მტევნები ქარვის მძივებივით ბზინავდა.

ლევანამ შეხედა ყურძნით სავსე გოდორს და პირი ააცმაცურა.

— მამა, წამოვალ ვენახში, მოშველება ხომ გინდათ?

მამას თუმცა ყურძნიანი გოდორი მხარს საკმაოდ უმძიმებდა, მაინც შეჩერდა და ლევანასკენ მიიხედა. მან წარბები შეიკრა და სახეზე გაჯავრება გამოეხატა.

— კი, მაგრამ, ჩემთან რომ მოდიხარ, შენი საქმე გაკეთებული გაქვს? წიგნი წაიკითხე?

ლევანა მიხვდა თავის დანაშაულობას და თავი ჩაკიდა.

— წიგნი?

— წიგნი, დიახ, წიგნი. შენ თუ არ გაგიგონია, მე გეტყვი: „ჯერ სწავლა, მერე ხტომაო“.

— მე ხომ ხტომა არ მინდა, ყურძნის კრეფაში მოგეხმარები.

— ვიცდ, ვიცი, რაც გაინტერესებს. მოდი, ყურძენი ქამე და მერე წიგნი იკითხე.

„ყურძენი ქამეო“, — გაიფიქრა ლევანამ თავისთვის და სახეზე ღიმილი აუთამაშდა.

უხარია...

ყურძნის ქამის ნებართვა აიღო.





იგი ყურძნით პირამდის სავსე საწნახელთან მივიდა. „აბა, აირჩიე, რომელი მტევანიც გინდა“ გაიფიქრა ლევანამ და უკეთესი მტევნების ძებნა დაიწყო.

მან კრახუნის რამდენიმე მტევანი აარჩია და წიგნის გამოსატანად წავიდა.

ლევანამ სახვალიო გაკვეთილის დამზადებას მიჰყო ხელი.



6

გელაშვილის ვენახში რამდენიმე კაცი და ქალია ჩამდგარი. ისინი გაფაციცებით კრეფენ ყურძენს. ისმის ვაზებში ფოთლების შრიალი და ქალების სიცილ-კისკისი.

7

ლევანა, კარგახანს სწავლობდა გაკვეთილს, როცა მეცადინეობა დაასრულა, მერე შეინახა წიგნები და რვეულები, შინიდან პატარა დანა გამოარბენია და ვენახისკენ დაეშვა სირბილით. ის მირბოდა ვენახისკენ და თავისებური სიხალისე მიჰქონდა.

დედამ დაინახა თუ არა თავისი ლევანა, გული სიხარულით აევსო და სიცილით დაიძახა:

— მოდის, მოდის ჩემი გამხარებელი!

ეს სიტყვები ლევანამაც გაიგონა და განსაკუთრებულად შეიფერა დედის ალერსიანი სიტყვები.

— ბიჭო, ლევანა, ერთი რამე უნდა გკითხო...

— თუ გინდა, ორიც იყოს, — მას ეგონა, რომ სკოლის ან სწავლის შესახებ დაუსვამდნენ კითხვას.

— შენ ახლა მუშაობა უფრო გეხალისება თუ ყურძნის ჭამა?

— რა თქმა უნდა, მუშაობა, თორემ ყურძენი ხომ მარანშიც ვჭამე. თქვენ არ გცალიათ და მე აკილოებს ავჭრი. ზამთარში, როცა მთელი არეძარე თოვლით შეიმოსება, კარგი იქნება ყურძენი და თუ აქედან არ შევიანებ, მაშინ ვინ მომცემს..

— რო, ლევიანა, ახლა კი მართლა კარგი ბიჭი ხარ...

— ზამთარში, სკოლიდან რობ ყინვასავით გაცივებული დავბრუნდები, დედაჩემი ჩემ შენახულ ყურძენს მომიტანს და პირს ჩავიგემრიელებ.

მკრეფავებს ლევანამ წინ გადაუბრუნა და ვენახის შუაგულში მოექცა. იგი ვაზის ისეთ რტოებს ეძებს, რომლებზედაც ბევრი მტევანია.

მან რამდენიმე წუთში მთელი ვენახი შემოირბინა.

ის ჭრიდა აკიდოებს და სარებზე კიდებდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ლევანა ვენახიდან დაეშრებოდა და დატვირთული გამოვიდა. მას მიჰქონდა ზამთრის საგზალი და შინისკენ მიუხაროდა.

მკრეფავები იცინოდნენ.

— იცინეთ, ბიძია, იცინეთ. ლევანას ზამთარში აკიდოები ექნება და თქვენ კი ეგრე იყავით, — გადაულაპარაკა ლევანას მამამ მკრეფავებს.

ლაფრ. ჭიჭინაძე

მესამე მოღვეის ზაიმი

მხიარულ სახით მოვდივართ,
ჩვენი რიგები მღერიან,
ასეულები როდი ვართ,
ვინ დავგვფლის შრავალერიანს!
ისე ვხმაურობთ როგორც ზღვა,
ზღვისებრ უსაზღვრო რიგები,
მომავლის ძალა მოგვისხამს,
ახალ განცდებით ვიზრდებით.

— მოვდივართ, მოგვაქვს ხალისი
სწავლის და შრომის ფრონტებზე,
როგორც ვარდები მაისის,
ისე ვლაყლავებთ ლოყებზე.
ჩვენი რიგები გმირების
მზრდელია, გამომქედელი,
მტკიცდება ძალა ახალი,
სოციალიზმის კედელი.
სიცოცხლე ახლა ვარდია,
ჩვენ მის იმედად მოვდივართ,
ძველი ცხოვრება საფლავის
გაცივებული ლოდია.

— როცა ფრონტებზე მამები
იბრძოდნენ თავგამოდებით,
დედები განაწამები
ნანას გვეტყოდნენ გოდებით...
ტყვიის კაკანში ვიზარდეთ,

როს გრიგალებდა ფრონტები,
ქარიშხლის შემდეგ მოვედით
ახალ ცხოვრების ყლორტები,
დღეს კი მზადა ვართ ბრძოლისთვის,
ჩვენ ვეუფლებით შაშხანას,
ვსწავლობთ, თან ბრძოლა ჩვენც ვიცით,
თუ მტერმა ხელი გაშალა.

იქ კი, საზღვრების გადაღმა,
თუმც მგელი ისევ თარეშობს,
ვინ იცის, რამდენს ამაღამ
გულში მახვილი ჩაესო,
ვინ იცის, ნორჩი ბალები
ალარ დაბრუნდენ დედებთან,
სადმე ჯალათი ძაღლები
თუ ჩაუსაფრდენ კედელთან.
მეგრამ იქაც ხომ სულ მალე
ზღვა ამოიტანს ქარიშხალს,
გაისმის მძლავრი გუგუნნი
დიდი ოქტომბრის ქარისა...
მაშინ ლენინის დროშის ქვეშ
დაირაზმება ხმელეთი,
მალე ერთი ხმით იმღერებს
მსოფლიო პიონერთი.

მ. ებრალიძე



ბავშვთა საერთაშორისო კვირეულია. ყველგან ფუსფუსი და ყიყინაა. სოციალიზმის ნორჩი შვილები დაქრიან აქეთ-იქით. სკოლებში და პიონერთა ბაზებში განსაკუთრებული ხალისი და აღტაცებაა.

სკოლის დერეფანში უამრავი ბავშვი შეკრებილან ერთ ადგილზე მისეოდენ კედელს, სადაც კედლის გაზეთი იყო გაკრული.

— იფ... იფ... რა გაზეთი გამოვუშვით!

— მშვენიერია... მშვენიერია...

ეს ხმები ისმოდა ბავშვების ხმაურში. ამის შემდეგ ისინი სკოლის დიდ დარბაზში მოგროვდნენ, სადაც მოხსენება ტარდებოდა ბავშვთა საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის შესახებ. მათ გადაწყვიტეს წერილობითი კავშირის გაბმა უცხო ქვეყნების პიონერებთან. საბავშვო სახლებშიაც ამოძრავდნენ ბავშვები. ისინი გაემართნენ ქალაქგარეთ სასეირნოდ და ერთმანეთს ეჯიბრებიან თვითშემოქმედების გამოჩენაში.



1

ბორჯომიდან გამოვიდა „კუკუშკა“ მატარებელი და ქშენით შეუღდა აღმართს. მატარებლის დაძვრისთანავე მგზავრები ფანჯრებს მიადგნენ და ტკბებოდნენ ბუნების მრავალფეროვანი მშვენიერებით.

— მამიკო, ის რა არის? — ეკითხება ჩემი ძმა მამას და უთითებს ქარხანაზე.

— ეგ ბორჯომის შუშის ქარხანაა, შვილო, — უბასუხა მამამ სიამოვნებით.

— შეხედეთ, რა ლამაზი ბუნებაა! აღტაცებით წამოიძახა დედამ.

— მართლაც რა ლამაზია, — დაფუდასტურებდა ჩვენც და ვუცქეროდით ბუნების სიკეთეს, მის მრავალფეროვნებას.

ჩამავალი მზის სხივები ხეების კენწეროებს ეხვეოდნენ და გრძნობით ჰკოცნიდნენ.

სამაო შესახედავი იყო ამ დროს „კუკუშკა“. ის მიიკლაკნებოდა ნაძვების ხეივანში და მისი შეკვივლება ტყეების სიღრმეში იკარგებოდა.

— დედა, ჩანჩქერი მალე გამოჩნდება? — შევეკითხე მე.

— კი, ახლა მალე გამოჩნდება. გაიხედეთ მარჯვენა მხარეს.

ჩანჩქერს მივალწვიეთ, რომელიც ბორჯომსა და დაბას შორის გადმოქუხს, ცივი, მაცოცხლებელი ჩანჩქერი, და უნებლიედ სურვილი გებადება ამ ცივი წყლით გაისველო გახურებული ყელი.

„რა სილამაზეა, რა სიკეთეს!“ — ვიმეორებდით ყველა და ჩვენს აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა.

აი, მატარებელმა დაბას მიაკვილა და სადგურთან გაჩერდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ამ პატარა ვეშაპმა, რომელიც მთაღრეში უშიშრად დასრიალებს, არ ეშინია წვიმის, ქარისა და ქარიშხლის, კვლავ აიდგა ფეხი. კვლავ მივადექით ფანჯარას.

— როგორი მიხვეულ-მოხვეული გზებია, — თავისთვის ჩაილაპარაკა ჩემმა ძმამ.

— მართლა, მამიკო, რატომაც ასეთი გზა? მაგრამ მამას არ გაუგონია ჩემი ხმა: ის მისჩერებოდა ტყეების დაუსრულებელ ზოლებს.

ჩემი წლინახევრის დაც ალტაცებით იშვებდა პაწია ხელს ტყისაკენ და იქით მიიწევდა „იქა კაქია, იქა კაქიას“ ძახილით.

ისიც კი გრძნობდა, თუ რა კარგია ბორჯომის ხეობა და მისი სილაპაჟე.

2

მართალია, ამ გზაზე მეორედ ვმგზავრობ, მაგრამ მაინც ვერ ვმალავ ალტაცებას. მე და ჩემი ძმა ფანჯრებს არ ვშორდებით, ცნობისმოყვარეობით ვაშტერდებით ყველაფერს.

მეზობელი მგზავრები ღიმილით გვიყურებენ. წაღვერში ერთმანეთში აირივნენ წამსვლელნი და მომსვლელნი.

ესალმებიან ურთიერთს და ნაცნობებთან შეხვედრით სიხარულით იესებიან.

ჩამოკრეს ზარი, და მატარებელიც ისევ არახრახნდა. კვლავ გაიბა მუსაიფის ძაფი.

ორიოდე წუთის შემდეგ გამოჩნდა ლამაზად ნაშენი სახლები. აქ არის მუშათა დასასვენებელი სანატორიუმი კეჩხოზი.

აქ იკრებენ მშრომელები ენერგიას, რომ შემდეგ გმირულად შეეჭიდონ აზვირთებულ ცხოვრების ტალღებს.

მატარებელმა გადაიარა ხიდი, გადალახა აღმართები და ცემის სადგურს კივილით სალაში გადასცა.

ცემის სადგურის გვერდით, ვრცელ მინდორზე, თივილ-ხივილით ირეოდენ სამკურნალოდ ჩამოსული მოწაფეები.

მატარებელმა კივილით დატოვა აგარაკი ცემი. ოდნავ ეჩინებოდა. ამ დროს კონტროლიორმა ჩამოიარა, ბილეთებს ამოწმებდა. ჩემმა ძმამ დაინახა თუ არა, სხარტად შეეკითხა:

— ბიძია, ახლა რა სადგური იქნება?

— ახლა, ბიძიკო, სადგური კი არა, ბაქანი ტბა იქნება, — უპასუხა კონტროლიორმა.

ბალახებზე წვიმის წვეთები ბზინავდა.

გავიარეთ ბაქანი ტბა.

ტანაყრილი ლამაზი ფიჭვ-ნაძვები ნიავის შემობერვაზე მხოლოდ კენწეროებს აქნევდენ.


რა ლამაზი შესახედავია ამ დროს ეს უზარმაზარი ხეები!

— საკვირელებაა! — წამოიძახა ჩვენს პირდაპირ მჯდომმა მგზავრმა. — როგორ იზრდება ამისმაღლე ხეები ასე სწორად?

— დედიკო, აგერ იმ გორაკზე რამდენი მარწყვი მიჭამია, იმ ველზე რამდენი პეპელა დამიჭერია და იმ ტყეებში რამდენჯერ წავსულვარ კევისათვის, შარშანწინ რომ ტბაზე ვიყავით. ოჰ, რა კარგი იყო!


3

ლიბანის მახლობელ მთის კალთაზე ვაკეთებულა პატარა აივანი, რომელსაც „სამხიბლოა“



უწოდეს, რადგან იქიდან კარგად მოჩანს ცემი, გაშლილი მინდვრები და ტყით შემოსილი მთები.

გავშორდით ლიბანს. ისევ მიხვეულ-მოხვეული გზები, ისევ ტყეები და ისევ მატარებლის გუგუნი.



მის უეცარ შეკვივლებას უზარმაზარი ტყეები ცლაპავენ.

მიდის მატარებელი ამართულ მთებს შორის, და თვალს სიკეკლოუცე ჰხვდება.

— ესეც პატარა ცემი! — წამოვიძახე უეცრად, როდესაც თვალი გადავაღლე ბავშვთა სამკურნალო აგარაკს და გულმა სინარული იგრძნო.

ვუცქერდი ეზოში მოთამაშე ბავშვებს. უცებ ვიგრძენი ჩემს მხარზე ვილატის ხელის დადება. ავიხედე და ჩემს თვალწინ იდგა მოლიმარი ბიძინა. იგი მე შარშან ქუთაისში გავიცანი, ამჟამად

კი პიონერთა ბანაკში გამოუგზავნიათ, როგორც საუკეთესო დამკვრელი მოწაფე.

— ბიძინა, ბანაკში როგორ გრძნობ თავს? — შევეკითხე მე. მან ცერი მიჩვენა და ლიმილით მიპასუხა:

— ასე, ჩემო ლეო, აი ასე.

— მოდი, ლეო, ერთი ჩვენი სიმღერა შემოვიძახოთ, — მითხრა ბიძინამ.

— თანახმა ვარ, — ვუპასუხე მე, და გაისმა სიმღერის ჰარმონიული ხმები, მას შეუერთდა მატარებლის კივილი, და საკოჭავს გავშორდით. ჩვენ კი ვმღეროდით.

— თქვენ გენაცვალეთ, ბავშვებო! ერთი იმღერეთ, ბებერი სმენა დავატკბო, — აღტაცებით შემოგვძახა მოხუცმა მგზავრმა.

— რა ვიმღეროთ, ბიძინა? — შევეკითხე მე.

— წითელარმიელის სიმღერა, ძია პეტრემ რომ გვასწავლა. აბა დავიწყეთ. ჩვენს სიმღერას სხვებიც აჰყვენ.

„მე რად მინდა ეს თოფი,
ეს მახვილი ნაქები,
თუ მტერს, ჩვენზე წამოსულს,
გმირულად არ დავხვდები“.

— თქვენ გენაცვალეთ, შვილებო, რომ მასიამოვნეთ, — თქვა მოხუცმა და გაჩუმდა.

ჩვენც ისევ ბუნების სილიადეს დაფუბრუნდით. აქა-იქ ჩამოხლეჩილი ხეები გვხვდებოდა, წინაღობით მოსულ წვიმას ძირ-ფესვიანად ამოევდო და მიწაზე საცოდავად გართხმულნი ითხოვდნენ შველას, სურდათ ისევ სიცოცხლე...

ლეოპოლდ ხეჩია

გ ა მ ო ხ ა ნ ა ე ბ ი

(წარმოდგენილი გ. ლომთათიძის მიერ)

1.

ბატს რომ სამი წელი შეუსრულდება, რას იზამს?

2.

ქულში რატომ იხდიან ფულს?

3.

შემას ბუხარში რატომ დებენ?

4.

ძროხა რატომ წვება?

კარგახანს არავის გაუგია თინას მეტს ეს ამბავი. გოგონები საიდუმლოდ ინახავდენ, ხოლო მშობლები ყურადღებასაც არ აქცევდენ ბავშვების თაჩაშობას. მათთვის ბავშვები ჯერჯერობით საჭირო არ იყვნენ და არც მათ ყოფნის აღვილს კითხულობდენ, მაგრამ დაიწყოთუ არ ტეხა-კრეფა და მუშახელი საჭირო შეიქნა, გოგონებიც მოიკითხეს. პირველად ემინემ იგრძნო ნაილეს საჭიროება და როცა ნაილე სახლში აო აღმოჩნდა, თინასას ვიაკითხა.

— სკოლაში იქნებიან, — უპასუხა ემინეს თინამ.

— სკოლაში რა უნდათ? — გაიკვირვა ემინემ.

— სწავლობენ. ნუთუ არ გაგიგია? — გაუმხილა თინამ.

ემინეს ძალიან უყვარდა თინა და მისი დიდი რიდი და პატივისცემა ჰქონდა, მაგრამ ეს სიტყვები ძალიან ეწყინა.

„გიაურმა მაინც მომატყუა და გოგო დანიკარგა“ — გაიფიქრა მან.

— ოჯახში ვინ მყავს ნაილეს მეტი! რა მეშველება, საქონელი ვის ჩავაბარო! — აწუწუნდა ემინე და საყვედურიანი თვალებით შეხედა თინას.

თინა მიხვდა, რომ ემინეს ძლიერ ეწყინა, და რომ დაემშვიდებია, მივიდა და ხელი მკლავში მოჰკიდა.

— წამოდი სკოლაში, მივიდეთ, ვთხოვოთ მასწავლებელს და დაითხოვს, — უთხრა მან ემინეს.

— უცხო კაცთან როგორ მივიდე! — გაიკვირვა ემინემ.

— მასწავლებელი კაცი არაა, — უთხრა თინამ. — გოგონებს ქალი ასწავლის. წავიდეთ, მასაც გავაცნობ, კარგი ქალია.

ემინემ გაურკვეველად გაიქნია თავი, მაგრამ თინას უარი ვერ უთხრა და სკოლისაკენ გაჰყვა.

სწავლა დაწყებული იყო, სკოლის კარებს რომ მიადგენ, კატომ დაინახა თუ არა თინა და

მასთან უცხო ქალი, სწავლა შეწყვიტა და მოსულეებს შეეგება.

— გაიცანი, ეს ნაილეს დედაა, — გაცნო თინამ კატოს ემინე. ქალები ერთმანეთს მისალმენ.

ემინეს სკოლაში მისვლა ბავშვებს ძალიან გაუკვირდათ, მაგრამ ნაილე შიშისაგან აცახცახდა.

— ძალიან ნიჭიერი და ჭკვიანი ბავშვია თქვენი ნაილე, — უთხრა მასწავლებელმა ემინეს. — თუ საშუალებას მისცემთ, კარგი მასწავლებელი გამოვა, — დაუმატა მან და ნაილეს მიმართა.

— აბა, ნაილე, ერთი ლექსი წაგვიკითხე.

ნაილე დარცხვენილი წამოდგა, მაგრამ მალე გასწორდა და ლექსი დაიწყო. ემინე ისე მისჩერებოდა თავის შვილს, თითქოს ძალიან უცხო ვისმეს ხედავსო. ის მართლაც ვერ სცნობდა ნაილეს. ბოლოს მასწავლებელმა სიხარულის ნიშნად მოხვია ხელი და გულში ჩაიკრა.

ნაილე სიხარულისაგან კინალამ წამოიქრა ადგილიდან.

კომკავშირის ორგანიზაციის ინიციატივით და ჯეშალისა და თინას დახმარებით სოფელში მალე წერაკითხვის უცოდინარობის სალიკვი-



*) დასაწყისი იხ. ჟურ. „პიონერი“ № 9.

დაციო სკოლა გახსნეს როგორც მამაკაცები-სათვის, ისე ქალებისათვისაც. კომკავშირლებმა კი ერთი თვის განმავლობაში მოახდინეს თავიანთი უცოდინარობის ლიკვიდაცია და შემდეგ მშობლებისა და თავისი ოჯახის წევრების სწავლებას მოჰკიდეს ხელი. ქალების აქტივმა, რომელიც კომუჯრედის კრებებს ესწრებოდა, ჭრაკრვის სკოლის გახსნა მოითხოვა. უჯრედმა ამ საკითხის მოსაგვარებლად თინა ვაგზაენა ბათომში, საიდანაც მან პროფსკოლის გახსნის ნებართვა ამოიტანა და ორი მასწავლებელი ქალიც ამოიყვანა. მასში გაერთიანდნენ თითქმის ყველა ასაკის ქალები. წარმოიდგინეთ, მოხუცებულებმაც კი იწყეს სიარული. მასის კულტურულად წინ წაწევამ გაზარდა მოთხოვნილებები. საჭირო გახდა სოფლისათვის ქონსამკითხველო, რადიო, ჟურნალ-გაზეთები, წიგნები, და მალე პატარა კლუბის საჭიროებაც დაისვა დღის წესრიგში. კლუბის საჭიროება კომკავშირლებმა დააყენეს. კომუჯრედმა ჯერჯერობით ვერ მიიღო კომკავშირელთა წინადადება, ხარჯები დასჭირდებოდა, მაგრამ თინამ და ჯემალმა დაუჭირეს მხარი კომკავშირლებს და შეჰპირდნენ დახმარებას კლუბის მოწყობილობის ბათომიდან ამოტანით. ახალგაზრდები ეკვეთნენ საქმეს. ვინაიდან ხის მასალა სოფელში ბლომად მოიპოვებოდა, შეუდგენ მის დამუშავებას საკუთარი ძალით და ორი თვის შემდეგ პატარა კლუბი ააშენეს, რომელშიაც სამას კაცამდის დაეტეოდა და მეტი არც იყო საჭირო. ჯემალი თავისი შეპირების შესასრულებლად წავიდა ბათომში. ბათომის კლუბებმა, მოძვე სოფლის კლუბისათვის არაფერი დაზოგეს. ერთმა პიანინო აჩუქა, მეორემ დეკორაციები, მესამემ რადიო, და ამრიგად ჯემალი დატვირთული დაბრუნდა უკან.

1924 წელს ოქტომბრის დღესასწაულის ზეიმი ამ კლუბში ჩაატარეს მისი გახსნის პირველ დღეს.

9

აიშე მესამე ჯგუფში იყო. საოლქო კომიტეტის დადგენილებით ჯემალი გაწვეულ იქნა უფრო საპასუხისმგებლო თანადებობაზე და

ამიტომ მთელი ოჯახით ბათომში უნდა დაბრუნებულიყო. ჯემალის სამი წლის ენერგიულმა მუშაობამ საკმაოდ დიდი ნაყოფი გამოიღო და სოფელი წინ წასწია. არც თინასა და პატარა აიშეს მუშაობას ჩაუფლია უქმად. სოფელში ჩამოყალიბდა პიონერთა ორგანიზაცია, რომლის შეფობა ბათომის ერთერთმა წარმოებამ იკისრა და მუდმივი კავშირითა და დახმარებით კარგად მოაწყო. პიონერების ორგანიზაციას ოქტომბრელები მოჰყვა, და ამრიგად სოფელი გადაიქცა ერთერთ საუკეთესო კულტურულ კუთხედ. რასაკვირველია, არ ითქმება ისიც, თითქოს ყველას ერთნაირად უყვარდა ეს კულტურა, ყველა ერთნაირად იყო განწყობილი პარტიისა და ხელისუფლებისადმი. იყვნენ ისეთები, რომლებიც ყოველ ფეხის გადადგმაზე ფიქრობდნენ სახალხო საქმის ხელის შეშლას, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ხან დასავლეთიდან მოელოდნენ მხსნელს, ხან აღმოსავლეთიდან, ავრცელებდნენ ათასგვარ ქორს, მაგრამ ძლიერი და სალი ორგანიზაცია კომუნისტური პარტიისა და კომკავშირელი ახალგაზრდებისა ფრთხილად ადევნებდა თვალს მტრების მოქმედებას და ძირშივე უღებდა ბოლოს მათ ბოროტ ზრახვებს.

ჯემალის გაწვევის ამბავი ელვის სისწრაფით მოელო სოფლებს. მთელ თემს ეწყინა ჯემალის გაწვევა. კომუჯრედის ღია კრება, რომელიც კლუბში გაიმართა და მოისმინა ცნობა ჯემალის გადაყვანის შესახებ, უზერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. ყველას უნდოდა ჯემალი და მისი ოჯახის შემადგენლობა დარჩენილიყო ამ სოფელში, მაგრამ პარტიის ზემდგომი ორგანოს დადგენილების წინააღმდეგ წასვლა არ უნდოდათ და ჯემალისაც ერიდებოდათ. კაცმა სამი წელი შემოგვეწირა და როგორ მოვთხოვით კიდევ დარჩენაო, — ფიქრობდნენ. ზოგიერთებმა წინადადება შეიტანეს აღეძრათ შუამდგომლობა საოლქო კომიტეტის წინაშე და ეთხოვათ ჯემალის დატოვება, მაგრამ უჯრედის მდივანმა ყველა დაამშვიდა.

მდივანმა როცა კრება დახურა, ჯემალს მიმართა:



— ამხანაგო ჯემალი! იბრძოლი ჩვენთან ბოლშევიკურად და იბრძოლე იქაც, — უთხრა, ხელი ჩამოართვა და გადაკოცნა.

კრება დაიხურა, მაგრამ ხალხი არ დაშლილა. პიონერებს პატარა პიესები მოემზადებიათ მასწავლებლების დახმარებით, ის დადგეს, ლექსები წაიკითხეს, სიმღერები თქვეს და ღამის თორმეტ საათამდის შეიქცა ხალხი.

მეორე დღეს ჯერ კიდევ არ გათენებულიყო, რომ აიშეს ამხანაგებმა მოიყარეს თავი. შემდეგ სოფლის ქალები შეიკრიბნენ და გლეხებიც მოვიდნენ.

როცა ავტომანქანა აქშინდა და წასასვლელად მოემზადა, ნაილე აიშეს ჩაეკრა გულში და აქვითინდა. აიშემ ამხანაგი ანუგეშა და შეჰპირდა, რომ ხშირად ინახულებდა მას და მის ამხანაგებსაც.

ავტო დაძრა. კრემლებმორეული თვალები აელვარდა მზის სხივზე.

10

1933 წლის გაზეთ „კომუნისტის“ ერთერთ ნომერში, რომელშიაც უმაღლეს სასწავლებელ-

ში მიღებული ახალგაზრდების სია იყო მოთავსებული, სოფელ წიწვნარას მცხოვრებ მაშინდელ ჩვენ ნაცნობ ბავშვებიდან ხუთი ვაჟისა და სამი ქალის სახელი და გვარი ეწერა, რომლებიც პედაგოგიურ დარგზე წასულიყვენ. უფრო ქვემოთ სამკურნალო ფაკულტეტზე მიღებულთა სიაში აიშესა და ნაილეს სახელი ყველაზე წინ იყო მოთავსებული.

იმ სოფელში კი დღეს ორი სკოლაა და სოფლები კიდევ მოითხოვენ მესამის აგებას. აბა ვის დააჯერებთ დღეს იქ, რომ ქალებისათვის სწავლა არ არის საჭირო! ასეთი ზამ რომ წამოგცდესთ, სიცილს დაგაყრიან. აქაურმა კოლექტივმა წელს პირველობა მიიღო და დაჯილდოვებულ იქნა.

ჯემალი და თინა ისევ კარგად არიან. ჯემალი ერთი დიდი საბჭოთა მამულის დირექტორია. თინა მუშაობასთან ერთად მოემზადა და გასულ წელს პედაგოგიური ფაკულტეტი დაამთავრა, დღეს კი ერთერთი ათწლეულის გამგეა ქ. ბათომში.

პარმენ ლორია



ახსოვს ზურას ეს უბანი
 უბნის ბოლოს მიწას თხრიდენ.
 როგორ იყო გაუფალი
 ახორცილი ქუჩის კიდე!
 ახსოვს ზურას, დედამ უთხრა:
 „აქ შენდება დიდი სახლი,
 დიდი სახლი, კოხტა ქუჩა,
 საცა მიწას ხედავ დათხრილს“.
 ახსოვს ზურას ისიც კარვად,
 რომ აქ სახლი ჯერ არ ჩანდა!
 მოდიოდა და მოჰქონდა
 მას წიგნებით საესე ჩანთა.
 ახსოვს ზურას, ღამდებოდა
 და მუშები ცვლიდენ წყებას,
 დედის ტკბილი საუბარი
 და მრავალი აღტაცება.
 ახსოვს ისიც, თუ აქ ქვებზე
 რა სიძნელით გადიარა,
 და მუშები წერაქვებით
 ზურას თვალწინ იდგენ მრავლად.

ახსოვს ზურას, უთხრა დედამ:
 „აქ შენდება დიდი სახლი,
 დიდი სახლი, კოხტა, ქუჩა,
 საცა მიწას ხედავ დათხრილს“.
 ახსოვს ზურას და ოცდება,
 როცა უცქერს ახალ სახლებს...
 ახალ ქუჩის მოედანზე
 მწვანე ნარგავს სიო არხევს.
 იდგა ზურა და ფიქრობდა:
 „როგორ დადგეს ასე სწრაფად?
 ალბათ, მათი გამრჯელობა
 ამშვენებდა წითელ დაფას“.
 ხედავს: ირგვლივ კოხტა სახლი,
 ასფალტი და ქუჩა ვრცელი,
 დასტუობია ამ უბანსაც
 დამკვრელების სწრაფი ხელი.
 უკვირს ზურას, ძველი ქუჩა
 ასე კოხტა როდის გახდა,
 დიდხანს იდგა სიხარულით
 ახალ ქუჩის ახალ სახლთან.

სანდრო ელენტი

რობინზონ კრუზო

— როზელი წიგნი გიყვარს ყველაზე მეტად? — შეეკითხა ბიძია ლაფროსი სტუმრად ჩამოსულ ძმისწულს.

პიონერი ზოზო გაინაბა და პასუხის მოცემა უმძიმდა.

— მე გეტყვი, მამა, მე, — ჩაერია კაკო.

— აბა თქვი...

— რობინზონ კრუზო!

— რობინზონ კრუზო? — შეეკითხა ზოზო. ეგ წიგნი არ წამიკითხავს.

— ბიჭო, რობინზონი არ იცი? არ გრცხვენია, მერე? რობინზონი არ წაგიკითხავს? — დააყარა მომღიმარმა ანიკომ.

შეტევა ისეთი ერთსულოვანი იყო, რომ ზოზო წამოწითლდა და ამ დროს წამოეშველა ბიძია ლაფროსი.

— მერე რა ვუყოთ, რომ არ წაუკითხავს. მართალია, ეს წიგნი ძალიან საინტერესოა და ყოველი ქვეყნის ბავშვებს იტაცებს, მაგრამ, როგორც ვთქვამბა, ჯერ ხელში არ ჩავარდნია ზოზოს და არ წაუკითხავს. აი, სახელგამი ახლა

ბეჭდავს ამ წიგნს და სულ მალე გასაყიდადაც გამოვა. ყველა ბავშვს უნდა ურჩიოთ მისი წაკითხვა, რადგან ძალიან საინტერესოა.

— ბიძია, რა არის ამისთანა ეს რობინზონი?

— დამარცხებულის კილოთი იკითხა ზოზომ.

ანიკომ, კაკომ და ქეთომ ეშმაკურად გაიღიმეს, ბიძია ლაფროსის კი ლაპარაკის საღერღელი აეშალა და დაიწყო:

— რადგან არ იცით, ახლავე ავიხსნით.

— ჩვენ ვიცით, ვიცით! — დაატანეს ბავშვებმა.

— იცით და არც იცით. მართალია, წაკითხული გაქვთ, მაგრამ ის მაინც არ იცით, რის თქმასაც ახლა მე ვაპირებ.

— აბა, გვითხარი, მამა, გვითხარი, — თქვეს დადინჯებულმა ბავშვებმა.

ლაფროსიმ დაიწყო.

— ეს კაი ხნის ამბავია. ზღვაზე მოგზაურობა მაშინ ძნელი იყო, დღეს ცნობილ ბევრ ზღვას, კუნძულებს, ნაპირებს მაშინ არ იცნობდენ. ხიფათით სავსე იყო მაშინდელი გემებით





კაციქამიები მოცურდებოდნ ხოლმე კუნძულზე და აქ აწყობდნ თავის ზემს, ამჟამად, როდესაც ერთ ტყვეს კლავდნ, მეორე ახალგაზრდა გაექცა მათ და თავს უშველა. რობინზონმა გადაარჩინა ის საშინელ სიკვდილს. ასე შეიძინა რობინზონმა ერთგული მეგობარი პარასკევა.

მოგზაურობა, მაგრამ ადამიანი მაინც არ უშინდებოდა ამ დაბრკოლებებს.

გალიოტებით (ასე ეძახდნ სამანძიან მაშინდელ გემებს) მიდიოდნ ინგლისელები, ჰოლანდიელები, ესპანელები შორეულ ქვეყნებში — ამერიკიდან გამოქონდათ ბამბა, შაქარი და თუთუნი, ინდოეთიდან — აბრეშუმი და ძვირფასი თვლები, აფრიკიდან — ოქრო, სპილოს ძვალი და ცოცხალი საქონელი — ზანგები — ამერიკის პლანტაციებისათვის.

ვაჭრების გემებზე იყო ზარბაზნები, გემების კაპიტნებს კი ქამარში გარჯობილი ჰქონდათ ძველებური დამბაჩები.

ყოველი მხრიდან საფრთხე იყო მოსალოდნელი. ნისლი და ქარიშხალი, უცნობი ფონები და წყალქვეშა ქოროხები, ზღვის მეკობრენი და კაციქამიების ტომები.

აი მოცურავს ტლანქი გალიოტი, რომელსაც მოაქვს ძვირფასი საქონელი.

უცებ გამოჩნდა მსუბუქი ბრიგანტინა, რომელსაც გაუშლია ყველა აფრა და დაეწია გალიოტს. შავი ღროშა, მეკობრეთა ღროშა ფრიალებს ბრიგანტინაზე...

მალე დაიმორჩილეს გემი მეკობრეებმა. მატროსები ხელფეხშეკრულნი ყრიან, გალიოტის დანახშირებული ჩონჩხი დაცურავს ტალღებზე და ღროშის ნაცვლად მის ანძაზე ქანაობს კაპიტნის გვაში.

ვეროპელების გემების კომანდა შეუბრალებლად ანადგურებდა ადგილობრივ მცხოვრებლებს: ცარცავდა, ჟღეტდა, მონებად აქცევდა „ველოურებს“, როგორც ეძახდნ ვეროპელები წყნარი ოკეანისა და აფრიკის სანაპიროების მცხოვრებლებს.

მაგრამ გემი თუ დაეჯახებოდა წყალქვეშა კლდეებს უცნობ კუნძულთან, — მშვიერი აკულე-ბივით შემოესეოდნენ ჩასაძირავად გამზადებულ გემს ადგილობრივ მცხოვრებთა სწრაფი პირო-გები (ნავები), და ვინც გადაურჩებოდა ზღვის ტალღებს, მას შემწვარს მიირთმევდნენ კაცი-კამიები.

ერთხელ, — ეს იყო 1705 წელს, — ინგლისის სავაჭრო გემი გაჩერდა უკაცურ პატარა კუნძულ-თან, ჩილის სანაპიროებთან. გემიდან ერთი კაცი გადმოსვეს ნაპირზე, გადმოტვირთეს ტყვია-წამალი, სანოვაგე, და გემი წავიდა.

II

დარჩა კაცი მარტოლმარტო. ჯეირნები ძოვ-დნენ ბალახს მთის ფერდობზე.

გავიდა ხუთი წელი. ინგლისელი კაპიტანი ხოჯერსი მიცურავდა თავის გემზე იმ ზღვებში და უცებ შენიშნა კაცი უდაბურ კუნძულზე.

ეს კაცი გემზე გადაიყვანეს. რის ვაი-ვაგლა-ხით გაიგეს, რომ მას სელკირკი ჰქვია, რომ ის მატროსია, რომელიც წაეჩხუბა კაპიტანს და აქ გადმოსვეს უდაბურ კუნძულზე...

სელკირკი გაველურდა, ლაპარაკის უნარი დაეკარგა, ხალხის ეშინოდა. ლონდონში რომ ჩაიყვანეს, მის სანახავად უამრავი ხალხი დადიოდა.

ბევრს წერდნენ და ლაპარაკობდნენ მაშინ სელკირკის შესახებ.

იმ დროს ლონდონში ცხოვრობდა ერთი ცნობილი კაცი. მას ჰქონდა საფეიქრო ქარხანა, მაგრამ ამავე დროს იყო პოლიტიკური მოღვაწეც: ჟურნალისტიც, წიგნების ავტორიც. ეს იყო დანიელ დეფო. ისიც დაინტერესდა სელკირკით გავიდა ექვსი წელი.

ერთხელ, 1719 წლის 25 აპრილს ლონდონის წიგნის მაღაზიების ვიტრინებში გამოჩნდა ახალი წიგნი, რომლის სათაური მეტად გრძელი და საინტერესო იყო:

„ცხოვრება და უცნაური და საოცარი თავ-გადასავალი იორკელი რობინზონ კრუზოსი, მე-ზღვაურისა, რომელმაც ოცდარვა წელი გაატარა მარტოობაში უდაბურ კუნძულზე ამერიკის სანაპიროებზე, დიდი მდინარის ორიკოს შესართავ-თან, ნაპირზე რომ გამოირიყა გემის დაღუპვის

დროს, როდესაც ყველა დაიღუპა მის გარდა, იმ მოთხრობის დართვით, თუ რა საოცარი ხერხით გაათავისუფლეს ის მეკობრეებმა.

ყველამ მოინდომა ასეთი წიგნის წაკითხვა. მთელი ტირაჟი უცებ გაიყიდა. გამოამცემელმა დიდძალი ფული მოიგო. ის ხელახლა ცემდა და ცემდა ამ წიგნს.

წიგნი საოცრად მოეწონათ.

მკითხველებს ეგონათ, დეფოს მიერ შეთხზუ-ლი ამბები მართლაც თავს გადახდა ვიღაც რობინზონსო.

წიგნი მართლაც ისე იყო დაწერილი, რომ ძალიან წაგავდა სიმართლეს. ზუსტად იყო აღნიშ-ნული დრო, თუ როდის მოგზაურობდა, აღნიშ-ნული იყო მისი ცხოვრების ყველა შემთხვევის დრო და წელი. რობინზონი დაწვრილებით აღნიშ-ნავს მთელ სანოვაგეს, ყველა საგანს, რაც მან გადაარჩინა დატვირთული გემიდან. ის ისე და-წვრილებით აღნიშნავს, თუ როგორ გაიკეთა სახლი, ღობე, ისე აღნიშნავს ყოველ თავის საქმეს, თითქოს მართლაც ყოველდღიურად ჩაეწეროს ყოველივე ეს.

აი ასეთი მართალი რომ ჩანდა რობინზონის ამბავი, ვერავინ ვერ ამჩნევდა მისი თავგადასა-ვლის სიყალბეს.

სელკირკი ხუთი წლის განმავლობაში გავე-ლურდა, ადამიანური ლაპარაკიც გადაავიწყდა, და როგორ მიხდა, რომ რობინზონმა 28 წლის განმავლობაში არ დაივიწყა ენა და უკეთესიც გახდა, ვიდრე წინათ იყო?

აბა დააკვირდით ველურ პარასკევას, — განა ის გავს წყნარი ოკეანის კუნძულების ველუ-რებს? ის მეტისმეტად კეთილშობილია და გულ-კეთილი.

ამას არავინ არ აქცევდა ყურადღებას. რობინ-ზონის წიგნი ხელიდან ხელში გადადიოდა. დი-დებიც გატაცებით კითხულობდნენ მას.

ყველას სურდა გაეგო — რა დაემართა რობინ-ზონს ინგლისში დაბრუნების შემდეგ.

დ. დეფო იძულებული იყო დაეწერა: „რო-ბინზონ კრუზოს შემდგომი თავგადასავალი, რომელიც შეადგენს მისი ცხოვრების მეორე და უკა-ნასკნელ ნაწილს და შეეხება მის მგზავრობას

ქვეყნიერების სამ ნაწილში, მის მიერვე დაწერილი“.

მეორე ნაწილში რობინზონი კვლავ მოდის თავის კუნძულზე, სადაც დატოვა კატასტროფის განმცდელი მატროსები, და თან მიჰყავს პარასკევაც. კუნძულს თავს ესხმიან ველურები და ბრძოლაში კლავენ პარასკევას.



რობინზონმა თავის ბინას შემოავლო სარების მესერი. ერთხელ მან ჯეირნის ნუკრი დაჭრა ფეხში, თავის ბინაზე მიიყვანა და განკურნა. ნუკრი გაიზარდა და მოშინაურდა. კატა რობინზონმა დამტვრეული გემიდან გადაარჩინა (აქ მოთავსებული სურათები ამერიკელი ბიჭის დახატულია და გამოფენილი იყო ბავშვთა ნახატების საერთაშორისო გამოფენაზე მოსკოვში).

ამის შემდეგ რობინზონი განაგრძობს მოგზაურობას.

ის მივიდა კუნძულ მადაგასკარზე, ინდოეთში, ჩინეთში, იქიდან გაემგზავრა ციმბირში და მოსკოვის სახელმწიფოში, მოვიდა არხანგელსკამდის,

ჩაჯდა გემში და დაბრუნდა ინგლისში, თავის სამშობლოში ქალაქ იორკში, სადაც გადაიტყველა ღრმად მოხუცებული.

ღეფოს წიგნის მეორე ნაწილი მოსაწყენია. იქ ბევრი აშკარად შეთხზული ამბავია. მაგრამ ყველაზე მოსაწყენია მესამე ნაწილი: „სერიოზული აზრები რობინზონის მიერ სიცოცხლის განმავლობაში მოფიქრებული“. ეს ნაწილი არც კი გადაუთარგმნიათ უცხო ენაზე, არც რუსულად, პირველი ორი ნაწილი კი მაშინვე გადათარგმნეს გერმანულად და ფრანგულად, მერე რუსულად, ხოლო ბოლოს ქართულად.

იყო ერთი ცნობილი ფრანგი პედაგოგი ჟან-ჟაკ რუსო. ის წერდა: „ბიჭის აღზრდის დროს მას მხოლოდ ერთ წიგნს მივცემდი — „რობინზონ კრუზოს თავგადასავალს“. და მართლაც საყვარელია ეს წიგნი მთელი ქვეყნის ბიჭებისათვის, მაგრამ უყვართ ის გოგოებსაც.

ჩვენში ახლა ხანდახან ანკეტებს ურიგებენ ბავშვებს და ეკითხებიან — რომელი წიგნია თქვენი აზრით ყველაზე უფრო საინტერესო. 10-12 წლის ბიჭების უმრავლესობა ასეთ პასუხს იძლევა:

— ყველაზე საინტერესო წიგნია „რობინზონ კრუზო“. — დაასრულა საუბარი ბიძია ლავროსიმ, და ბავშვებმა ერთხმად შესძახეს:

— როდის გამოვა „რობინზონ კრუზო“?

— მალე, ბავშვებო, სულ მალე... თქვენ კი ფიქრობდით — ყველაფერი ვიცი რომინზონის შესახებო და ზოზოს ეცით, არა? აბა ახლა დაფიქრდით, იცოდით ყოველივე ეს?

ბავშვები თვალგებარწყინებულნი და თან დარცხვენინი უსმენდნ.

— როგორც კი გამოვა, უეჭველად კიდევ წავიკითხავ რობინზონს, მამიკო! — წამოიძახეს ბავშვებმა.

მეც — მეც! — დაამოწმა ზოზომ...

გადმოკეთ. შ. თაბ-ლის მიერ.

დაღუმებული ტყე და მინდვრები
შეძრა სოფლიდან მოსულმა ხალხმა.
ხევში ეძებენ მარჯვე ბიჭები,
ტყის შარავები დაფარა რაზმმა.
მძებნელთა შორის არ არს დანილა,
არ ჩანს არსენა კულაკანოვი,
ბაბუაც სადღაც გაქრა ამ დილას,
ხალხს არ უნახავს მტერი შტარკოვიც.
ორი ღღე არის ტყეში გასულა,
ბავშვებს დაეძებს ხალხი და რაზმი,
პავლეს მეგობრებს უტირის გული,
ყველას ნაღველის სიმუქე აზის.
ველზე ქარი ქრის, ციმბირის ქარი,
და ახმაურებს გამხმარ ხის ტოტებს.
— აქეთ წამოდით! — იძახის ქალი,
გულშემზარავად წივის და გოდებს.
მივიდენ, ნახეს: ბუჩქებში გდია
გვამები დაღვრილ სისხლის გუბეში,
და სადაც დიდი ფიჭვნარის ხეა,
სისხლზე აყრია სილა და ხრეში.
ცა ღრუბლიანად დაიყურება,
მწუხარებაა განუზომელი,
თითქოს კომუნარს გლოვობს ბუნებაც,
ჩადგა ქარი და მღუმარებს ველი.
ჯაჭვივით რკალად შემოსალტულან
ხევში ნარბენი ქალი და კაცი,
თვალეები ცრემლით აქეთ დანამული,
მწუხარებისგან ასწვიათ ღაწვი.
მიუნუგეშეს უბედურ დედას,
ხალხში სიმშვიდე იყო სხვაგვარი,
გადასულიყო დასავალს მზე და
ტყიდან დაიძრა ხალხის ლაშქარი.
სოფლად სიჩუმე ჩამოწვა ისევ,
გულებს მტრის ხელში ჩადგება სურდა:
„ენახავთ, ძალღურად დავახრჩობთ მყისვე,
ვინც რომ მხეცური მკვლელობა ზიდა“.
სწრაფად მიაგნო მგლების სოროებს
ამბოხებულმა ხალხის გულისთქმამ.
„სიკვდილი მხეცებს, ტყვია ვაგებოთ“
მთელ დიდ კავშირში ხმამაღლა ითქვა.

XI

აი დარბაზიც სამართალისთვის,
მოზღვავებული ხალხით აღესილა.
ზიზლი იზრდება სოფლის მტრებისთვის,
პავლე კი ყველას გულში გაზრდილა.
ღვას სასამართლოს მაგიდის ირგვლივ
წილაბახდილი მტრების კრებული:
უაზრო სახის ბრვე დანიილა,
კულაკანოვი ჩაფიქრებული.
ტრაგიკულ ამბის მძიმე წუთები
ასე დაიწყო: იყო სიჩუმე
ჩვენებისათვის იდგა ბებია,
მხეცურ მკვლელობის მესაიდუმლე.
— კაცს არ უყვარდა ჩემი პავლიკი,
თორემ მე იმას სულში ვიძვრენდი...
და თუ ოჯახში ბაბუმ ატირა,
აბა მის მიმართ რას შევიძლებდი.
— ნუ იმალები, მეგლო, ცხვრის ქურქში,
მხეცურ მკვლელობის ხარ მონაწილე,
მკვლელობის გვგმებს ადგენდით გუშინ,
ღღეს კი ტყვია შენც გაინაწილე!
მძიმედ მოვიდა მაგიდასთან პავლეს ბაბუა,
უკეთ თუ ვიტყვით სისხლის მსმელი მოხუცი
დათვი,
დათვი, რომელიც დაფარული არ არის ბანჯგვლით
და შერჩენია ბავშვობიდან მას სახე კაცის.
ცბიერად ითხოვს პატიებას და იმანჭება,
ამბობს: „ვიყავი სოფლისათვის კეთილი სერგო.
მოქალაქენო, შეიბრალეთ თეთრი წვერები,
ღრმა მოხუცი ვარ და სასჯელი არ უნდა მერგოს.
იცოდეთ, მკვლელი ჩემს გარეშეც უნდა ეძებოთ,
მე არასოდეს ასეთ საქმეს არ ჩავდიოდი,
გავჭარბავდი, შევებრდი სოფლის სამსახურს,
არა მაქვს ცოდვა დასადარი ერთი იოტის“.
ახლა ხალხის წინ ცივი ღიმიით დადგა დანილა,
არ შეუხრია იმას შუბლის არცერთი კუნთი.
გადაუშალა ხალხს სიმხეცის ვრცელი ამბავი,
რომელიც ყველას ლახვარივით ხედებოდა გულში.
რას იტყვის კაცი ამის შემდეგ უფრო საშინელს,
უნდა ხალხს ახლა მოისმინოს კულაკანოვის,
მაგრამ სიჩუმე ჩამოვარდა უეცრად ყველგან:

1) დასაწყ. იხ. ჟურნ. „პიონერი“-ს № 9.

კულაკანოვმა თვისი სიტყვა დაიწყო თხოვნით.
წყალწაღებული ხავსს იშველებს, —
ანდაზა არის,
ამას კი ხავსიც გამოსცლია,
არ იშლის მისას...

„მე მშრომელი ვარ, სიობლეში ამოვიზარდე,
ჩემს სიცოცხლეში გამუდმებით ვჯიჯგნიდი მიწას“.

XII

საბჭოთა ქვეყნის სასამართლო ზის შეურხეველად.
მას არწივივით შორსმხედველი მჭრელი აქვს თვალი
გასაგებია, ამის შემდეგ არ თქმულა სიტყვა.
მტერი ცდილობდა, რომ სიტყვებით ჩაეგო ხმალი.
ხმალი, რომელსაც მილიონთა მარჯვენი მართავს
მკვეთრია, ბასრი, ყველა ჯურის ხალხის
მტრებისთვის,

მას ოქტომბერის გრივალების სიმტკიცე ახლავს,
და სტალინური ნებისყოფის მღელვარე ზვირთი.
აი მოვიდა მშრომელი მასის
მღელვარ განცდების ჩამწვდომი ხალხი,
მტერს დაუკარგავს ძაღლური სული,
კანკალებს, ხორცი ჩამოჰგავს ნახშირს.
ტყვია და ზიზღი ერგო ვერაგებს,
დაიგრილა დარბაზში ტაშმა...

— ამხანაგებო, ადექით, ფეხზე,
პავლე მოროზოვს შევძახოთ ვაშა!
წამოდგა მასა, წამოდგა მათ წინ
სახე კომუნარ ბავშვის პავლესი.
ის მათთან არის, კვლავ ბრძოლებს გაშლის,
ხალხს გულში დარჩა მისი ალერსი.
უკანასკნელად სიცოცხლე სკადა
ყოფილი ხალხის შავმა კრებულმა,
ვისაც ქრისტე და საყდარი წამდა,
ვისიც გრძნობები გაცივებულა,
ვინც მომავალი ორი მებრძოლის
მახვილი დაშნით დაღვარა სისხლი,
წურბელა იყო საბჭოთა სოფლის,
საზიზღარია სახელიც მისი.
საზიზღარია, როგორც მტერის და
როგორც ვერაგი ადამიანის.
ვინც რომ მხეცური მკვლევლობა ზიდა,
მას შავი ჰქონდა გულში მიზანი,
ვინც ერთი დასცა, სამაგალითო
მას ზიზღი ერგო მილიონების.

შენ კი სადა ხარ, ცქრილა ბიჭო,
რომ გიგონებენ შენი სწორები.
შენ მაგალითზე იზრდება რაზმი,
რომელიც შენვე შექმენ პირველმა,
შენ რჩები ჩვენში ვით სისხლის ხაზი
(მოგავლო მკერდზე ჯალათის ხელომა).
დედაც არ გტირის კვლავ ცრემლით პავლეს,
გამუდმებით კი გულით გატარებს,
რაზმს რომ შეხედავს სოფელში გამვლელს,
„პავლეს რაზმია“ — და გულს უხარებს.
ჩამოეცალა თვალეზე ბინდი,
იგრძნო დაკარგულ გმირ შეილის სწრაფვა,
იცის, ცხოვრება თუ რა გზით მიდის,
განახლებული ძველ ყოფას არ ჰგავს.

XIII

მომავალს ისევ შეჰხარის დედა,
საქმე მტკიცდება მისი ვაჟკაცის,
მას მოწმენდილი დაჰყურებს ზეცა
და ვარსკვლავების გუნდი კაშკაში.
მოხუცი დედის ძარღვში ჩამდგარა
ახალი განცდის სისხლი და ჯანი,
ის მწუხარებამ ვეღარ დაფარა,
არის დედა და მებრძოლი ქალი.
და ხშირად იტყვის: „გული დამიჭრეს...
სადა ხარ, შეილო, ძვირფასო პავლე!?
სადა ხარ, მინდვრად რომ გაჰყვე ბიჭებს, —
ხვალ მთელი რაზმით ყანებში გავლენ...
თქვენ გაიხარეთ, ბავშვებო, ისევ,
მე პავლეს შემცვლელ კომუნარს გავზრდი,
ის პავლესავით იქნება მტკიცე,
პავლიკის ადგილს დაიჭერს რაზმში“.

XIV

ვინ არის ახლა ჩვენს მხნე რიგებში,
რომ აუცრემლდეს ბავშვივით თვალი!
მტრისთვის მახვილი პასუხი ვიცით,
ლეგიონებად მოვალთ მრავალი.
გაიზრდებიან მილიონები
კომუნარებად პავლიკის მსგავსად,
ვინც გმირულ ბრძოლებს უდგას გულდაგულ,
ბევრჯერ ხალხის მტრებს პასუხი გასცა,
იგი დარჩება ბავშვების დროშად,
როგორც მებრძოლი სამაგალითო,
შენ ჩვენ გულეებში ხარ აღმართული,
სასიყვარულო ფოლადის ბიჭო!

მიხეილ ებრალიძე



ამ რამდენიმე თვის წინ გარდაიცვალა მხატვარი შალვა ძნელაძე.

ის იყო ჯერ კიდევ ახალგაზრდა და ენთუზიასტი მხატვარი. ამ უკანასკნელ წელს მან დიდი სერიოზულობით და მონდომებით მოჰკიდა ხელი საბავშვო წიგნების დასურათებას.

ჩვენი „პიონერის“ მკითხველები და საერთოდ მკითხველი ბავშვები მალე დაინახავენ შალვა ძნელაძის მიერ დასურათებულ წიგნებს. ეს წიგნებია: **ლ. ჭიჭინაძის** „ისლიანი სახლები“ და **ლ. მეტრეველის** „ამბავთა ქარავანი“.

რით არის კარგი შალვა ძნელაძის სურათები ამ დასახელებულ წიგნებში? იმიტომ, რომ მეტად სადა, მარტივ ხაზებსა ხმარობს მხატვარი, რომ გადმოსცეს მოთხრობების საინტერესო ადგილები ან ის მომენტები, რომელნიც მკითხველი ბავშვის ყურადღებას მოითხოვენ.

აბა დააკვირდით ამ ნახატებს და დაინახავთ, როგორ კარგად სცოდნია შალვა ძნელაძეს ჩვენი სოფელი, როგორი სილამაზით არის მოცემული მინდვრები, შორი სივრცე, როგორ კარგად სცოდნია ჩვენი მუშისა და გლეხის სახეები, როგორ ცოცხლად გამოიყურება თვითყულის სახე, მათი სახეები, რომელნიც იბრძვიან ჩვენი სოციალისტური მშენებლობისათვის; და-

ხედეთ, როგორ კარგად სცოდნია ჩვენი ბავშვებისა და მასწავლებლების ურთიერთკავშირი, დააკვირდით, როგორა სიყვარულით დასცქერის მასწავლებელი თავის მოწაფეებს.

მაგრამ მარტო ეს კი არ დახატა შალვა ძნელაძემ. ახლა ცხოველებს გადახედეთ — ვეფ-



მხატვარი შალვა ძნელაძე



ხი, ძროხა ან ძაღლი როგორი მოძრავნი და მიმზიდველნი არიან. თქვენ ამაში მაშინ დამეთანხმებით, როდესაც ამ პატარა სურათებით კი არ დაკმაყოფილდებით, არამედ წაიკითხავთ **ლავ. ჭიჭინაძისა** და **ლევ. მეტრეველის** წიგნებს და იქ დაინახავთ დიდად დაბეჭდილ ამ სურათებს.

რამდენის ვაკეთება შეეძლო კიდევ შალვა ძნელაძეს ჩვენი საბავშვო წიგნებისათვის, და სიკვდილმა კი არ დააცადა!

კიდევ უნდა გაგახსენოთ, რომ შალვა ძნელაძე იყო, რომელმაც პირველმა დაასურათა ფერადებით **პ. ჭანიშვილის** მიერ გადმოკეთებული

ლევ. მეტრეველი — „ამბავთა ქარავანიდან“.

ზღაპარი: „ვიწ უფრო ძლიერია“? აბა გაიხსენეთ, როგორი შეხამებული ფერებია.

მაგრამ მარტო საბავშვო წიგნებს არ ასურათებდა შ. ძნელაძე. მან დიდი მონაწილეობა მიიღო ეგ. ნინოშვილის ორტომიანი ნაწერების დასურათებაშიც (გამოვიდა 1928 წელს).



ლ. კიკინაძის, -- „ისლიანი სახლებიდან“.

გარდა ამისა შ. ძნელაძე ხატვის მასწავლებელიც იყო ჩვენს პოლიგრაფიულ სკოლაში, სადაც ჩვენი ახალგაზრდობა ასოთამწყობობას სწავლობს. შ. ძნელაძის მიერ გამოზრდილი მოწაფეები, სტამბის მუშები—აწყობენ და ბეჭდავენ ჩვენი ბავშვებისა და ახალგაზრდობის საკითხავ წიგნებს.

როგორ მიაღწია ამ თავის საყვარელ მიზანს მხატვარმა შ. ძნელაძემ?

შ. ძნელაძე დაიბადა დაბა ჩოხატაურში 1896 წელს. საშუალო განათლება ქუთაისის მაშინდელ რეალურ სასწავლებელში მიიღო. მოწაფეობის დროსვე გამოიჩინა შალვამ ხატვის სიყვარული და ნიჭი. ტფილისში რომ გადმო-



ლ. მეტრეველი, — ამბავთა ქარავანიდან“.

ვიდა, ხატვას სწავლობდა ჩვენი ცნობილი მხატვრების: ა. მრეველიშვილის, მოსე თოიძის, ბორის ფოგელისა და სხვების ხელმძღვანელობით. როდესაც ტფილისში მოემზადა, შალვა გაემგზავრა კიევის სამხატვრო აკადემიაში. ის მონაწილეობას იღებდა კიევის სამხატვრო გამოფენებში.

აკადემიის დამთავრების შემდეგ საქართველოში დაბრუნდა. პირველადვე მასწავლებლობა დაიწყო და ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გამოზარდა.

დიდი ინტერესით მოეკიდა წიგნების დასურათებას. მისი დასურათებულია ექიმ თედორაძის წიგნი: „ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში“, „თამარიანი“ (სულ მოკლე ხანში გამოვა) და დავით კლდიაშვილის თხზულებანი.



ლ. მეტრეველის, — ამბავთა ქარავანიდან“.

გარდა ყველა ამისა, თქვენ რომ არ დაიზაროთ და შეხვიდეთ სამხატვრო გალერეაში, სადაც გამოფენილია ჩვენი მხატვრების ნახატები, ერთ კუთხეში დაინახავთ შალვა ძნელაძის სურათებს; „დამარცხებული“, „სამხედრო თათბირი“, „1905 წელი გურიაში“, „ურჩი ყმა“, „მრისხანე მებატონე“, „ხევსურის სიკვდილი“.

სათაურებზევე მიხვდებით, როგორი თემებით იყო დაინტერესებული მხატვარი. როგორი სიყვარულით, ოსტატობითა და ფერების შეხამებით აქვს გადმოცემული ტილოზე თვითეული ეს თემა. ნახეთ და დარწმუნდებით, რომ შალვა ძნელაძის დაკარგვა ჩვენთვის საგრძნობია, რომ



ლ. კიკინაძის, — „ისლიანი სახლებიდან“.

ის იყო ხელოვნებისათვის თავდადებული, ახალ-გაზრდობის მოსიყვარულე და მომავლის მქონე მხატვარი.

ანლანი

სექტემბრის ღამე

ცას ვარსკვლავები შეენოდა,
ეზოს ზვინების ჩრდილი,
მთვარეს — კაშკაში ზემოდან,
სოფელს — წოლა და ძილი.
ვაზის ბარაქა — ჭურ-მარანს,
ქარს — ბულულეებში ძრომა,
ჩვენს კოლმეურნე მურმანას —
მარნის გუშაგად დგომა.
ზვერავდა მარნის ეზო - კარს
და მიითვლიდა წამებს,
ახალ ცხოვრების მეგობარს
შუბლს უგრილებდა ღამე.

ალიონამდის დაქროდა
აღმოსავლეთის ქარი,
ხეს მოსვენება არ ჰქონდა
და ყურს დუმილი წყნარი.
შემდეგ ისუსტა, და ციდან
კრემლებად ჩამომდნარი
მიწის გულ - მკერდზე დაცვივდა
სექტემბრის ცივი ცვარი.
ღამე, ფერმკრთალი ნისლივით,
მხრებზე ეკიდა სოფელს,
ნელი ნიავის სისინი
აშრიალეგდა ფოთლებს.

გ. კალანდაძე

ზღვისა და სის უა

თავით ფეხებამდის ესკიმოსებივით თბილად ჩაცმულები, შეიარაღებულნი შვილდ-ისრითა და გრძელი ჯოხებით, რომლებიც ერთერთ ბოლოზე მოქანაობდა ცხენის ძუის მახე, მამა და შვილი თბილამურებით გაუდგენ გზას. ძლიერი ქარი სუნთქვას უშლიდა. როგორც ქარბუქის დროს ხომალდს, იმათაც მიხვეულ-მოხვეული გზით უნდა ეარათ. მიუხედავად იმისა, რომ

„პაპის ცხვირის“ მთა აქედან დაშორებული იყო რაღაცა კილომეტრნახევრის მანძილზე და ჩვენი მგზავრები მშვენივრად იცნობდნენ ამ ადგილს, ორჯერ გზაც აერიათ. დროგამოშვებით მათ უხდებოდათ თოვლში დაწოლა, რომ ამოვსუნთქათ და გავებოთ სიცივისაგან დაძრული პირისახის ნაწილები; მხოლოდ ორი საათის შემდეგ მიაღწიეს დანიშნულ ადგილს. მათდა



განსაცვიფრებლად, ოკენე თითქოს დაიკარგა და მის ადგილას გაიშალა თვალუწვდენელი ველი ერთმანეთზე დაწოლილი ყინულებისა, რომლებიც ფანტასტიკური კოშკების, ციხეებისა და სვეტების სახით აზიდულიყვნენ ცისკენ. ზღვის დელევას აქეთ გადმოეყარა მძლავრი ყინულების უდაბნო პოლარული ქვეყნებიდან.

ისინი მოწყვეტილი იყვნენ მთელი ქვეყნიდან.

— დავიღუბეთ, ტორალფ, — წაიჩურჩულა მამამ იმის შემდეგ, რაც რამდენიმე ხნის განმავლობაში მუნჯად გაჰყურებდა ყინულიან მთებს, — თუ ასე იქნებოდა, შინ ჯდომა გვერჩინა.

— ქარმა თუ ყინულები თავს დაგვატეხა ისევე შეუძლია უკუყაროს, — ბეჯითად ამშვიდებდა შვილი მამას.

— არავითარი ცოცხალი არსების ნიშანს ვერ ვამჩნევ, დაღონებით წარმოთქვა სიგურდმა რამდენიმე ხნის დუმილის შემდეგ. იგი ირგვლივ იყურებოდა იმ იმედით, იქნებ რაიმე კვალი შევამჩნიოთ.

— მეც ავერ ჯერჯერობით ვერაფერს ვხედავ, მაგრამ თუ დავიწყებთ ძებნას, ალბათ, რაღაცას მივაგნებთ. მე თან თოკი წამოვიღე და განზრახული მაქვს ვესტუმრო მეთოლიებსა და ზღვის თუთიყუშებს, რომელთაც თავშესაფარი უპოვიათ კლდეების ნაპრალებში.



— ბიჭო, ჭკუაზე ხომ არ შეიშალე! — სოწარკვეთილებით შესძახა მოხუცმა. — არასოდეს ამის ნებას არ მოგცემ!

— მაშ რას იზამ, რომ სხვა საშუალება არ არის, — მიუგო მტკიცედ შვილმა. — აი მამა, ხელში აიღე თოკის ეს წვერი, მეორე წვერს კი მე შემოვიტყამ წელზე, მხოლოდ მაგრად გეჭიროს და თან ფეხებით კლდეს დაეყრდენ მთელი ძალღონით...

მამა დაეთანხმა.

— ახლა მოუშვი! — დაუყვირა ტორალფმა, მხოლოდ მაშინ შეაჩერე, როდესაც თოკი შევარხიო.

-- კეთილი!

ნელა, ძალიან ნელა, ხან უნებურად შიში გრძნობას აყოლილი, ხან იმედით სავსე, ფრთხილი და გულადი ტორალფი უფსკრულისაკენ ეშვებოდა, სადაც ჯერ არასოდეს ადამიანს ფეხი არ დაედგა.

საუბედუროდ, თოკი ძალიან სტკენდა შემოჭერილ ადგილზე, ამიტომ იგი ეძებდა საყრდნობ ადგილს, რომ ცოტათი მაინც შეესვენა. დიდხანს ეძებდა უნუგეშოდ. ბოლოს შეამჩნია გამოშვერილი ადგილი, დაუყოვნებლივ მისცა მამას შეთანხმებული ნიშანი და ჯოხის შემწვობით შეხტა გამოშვერილზე, რომელიც ძალიან ვიწრო და სრიალა აღმოჩნდა მეთოლიების უამრავი ნაბუდარისაგან.

ტორალფი დაჯდა, ფეხები გადაკიდა და გაჰყურებდა უნაპირო ოკენეს, რომელიც თავისი ყინულოვანი მოწყობილობით ემსგავსებოდა მშვენიერ, გასაოცარი კოშკებისა და მინაერთების კრებულს. მან იცოდა, რომ ეს ადგილი კარგ ამინდში თავშესაფარს აძლევდა უამრავს ზღვის ფრინველს და იმ დასკვნას დაადგა, რომ ახლაც ისინი აქ მახლობლად უნდა ყოფილიყვნენ. ფრთხილად მიცოცავდა კლდის გასწვრივ და თან ზვერავედა ყოველივე კუთხეს.

მან დაინახა ზღვის თუთიყუშები, რომლებიც საკმელად დიდს არაფერს წარმოადგენენ. მან აჩქარებლივ ჩაუშვა თავისი ჯოხი, სტყორცნა ქამანდა თუთიყუშს კისერზე და ასწია ზევით. ფრინველმა რამდენჯერმე შეაფართხუნა ფრთები.

ტორალფს განზრახული არ ჰქონდა ფრინველის დაჭერა, მაგრამ სრულიად შემთხვევით ქამანდაში ნაცრისფერი მეთოლია გაეხა. ის ცდილობდა განთავისუფლებულიყო და როდესაც ეს არ მოუხერხდა, ატეხა განვაში და თან უიმედოდ აქნევდა ფრთებს.

ტორალფმა სამი ფრინველი ჩაღო ჩანთაში და ხელი სტაცა თოკს. ნელა ჩამოკურდა ფრილო კლდიდან და განზრახული ჰქონდა ნიშანი მიეცა მამისათვის, რომ ზევით აეწია. რამდენიმე ამოა ცდის შემდეგ მან მოახერხა ენერგიულად დაეწია თოკი და სულ იმის მოლოდინში იყო, რომ მამა თავისი ღონიერი ხელით ასწევდა მას მალლა. სამწუხაროდ, მიცემულ ნიშანს არავითარი პასუხი არ მოჰყვა. მან გაიმეორა შეთანხმებული ნიშანი და, მართლაც, თითქოს იგრძნო თოკის რხევა, ხოლო არავითარი მოძრაობა ზევით. აქ გულადი ყმაწვილის გული თითქოს გაჩერდა და ვაჟაკობამაც უმტყუნა.

— მამა! — შეჰყვირა მან შიშისაგან. — რატომ არ მეწევი ზევით?

მისი ყვირილი დაიკარგა ქარის ღმუილში. პასუხი არ იყო. ტორალფმა ხელმეორედ მოჰკიდა თოკს ერთადერთი თავისუფალი ხელი და მოიპოვა საშუალება ზევით აცოცებისა, მაგრამ ბოროტი ფრინველი ყოველ წამს გაორკეცებით ცდილობდა გაქცევას და მით საშუალებას უსპობდა ორივე ხელი მოეხმარა. რაღაც ხრინწიანი ყრუ ხმაურობა მოესმა მას, აიხედა ზევით და კლდის პირზე მამა შენიშნა.

— თოკი საცა გაწყდება, — შეჰყვირა სიგურდმა, — მე კლდეზე მივაბი.

ტორალფმა უეცრად შეფასა თავისი მდგომარეობა ქანაობის გამო, რაც გამოწვეული იყო არა მარტო ძლიერი ქარით, არამედ აგრეთვე მეთოლისთან ბრძოლით, თოკი აიძენდა წვეტიან კლდეზე ხახუნით. ახლა სიცოცხლე არაფრად ღირდა.

— მე ვეცდები ჩავჭიდო თოკს ხელი და გლეჯილი ადგილის დაბლა! — მოესმა მას მამის სიტყვები იმ დროს, როდესაც ქარი ერთი წამით დაწყნარდა.

— ნუ ცდილობ, — მიუგო ყმაწვილმა, — სულ ერთია, შენ მარტო ვერ ამწევ, სჯობია დამეხმარო

ნელ-ნელა დაცურდე ნაპრალებზე. დაბლა შეწყნარად ვიქნები, სანამ დახმარებას აღმოძრინ.

მოხუცი მიწვეული იყო ვაჟის ღარიგებას და ჩაუშვა იგი 15-20 ფუტით დაბლა, სანამ მან ნაპრალის ძირს არ დადგა ფეხი, მაგრამ შვერილი საკმარისად არ იყო გამოწვეული წინ, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ფეხების მომაკრება.



თანაც ყოველ წამს შესაძლო იყო დაძენძილი თოკი გაწყვეტილიყო. ამ ახალი უბედურების დროს მის თავში ელვისებურად დაიბადა ერთი გადაწყვეტილება: გაბედული სწრაფი მოძრაობით ჯოხი გადაადგო, რის გამო სხეულის საკუთარმა სიმძიმემ ისეთი სიმძლავრით გააქანა შვერილისაკენ, რომ ადვილად მოექცა ზედ.

საბედნიეროდ, ტორალფი ძალიან თბილად იყო ჩაკმული, თორემ ვერასოდეს ვერ გაუძლებდა იმ საშინელ საათებს, რომლის განმავლობაში მას მოუხდა კლდის შვერილზე ჯდომა.

ნეტავ როგორმე მოახერხოს, რომ არ დაეძინოს მთელ ღამეს! ამისთვის მან მოიგონა შემდეგი: ნისკარტა დააღებინა იმ თუთიყუშს, რომელმაც გაუთბო კისერი, მის ზემო ყბას, დანასავით მჭრელს, ისეთი მდგომარეობა მისცა, რომ ნისკარტი უსათუოდ შეიჭრებოდა მის ნიკაპში, თუ მას წაეძინებოდა. შემდეგ ყმაწვილი



მიეყუდა ქვიან კლდეს და თან ფიქრობდა თავის დედაზე და თბილადგილზე ბუხართან, მშობლოურ ქობში. მაგრამ იძულებული იყო დაემალა თავისი ცხვირი თუთიყუშის მუმბულში, რომ დაეწყნარებოდა აუტანელი ტკივილი.

დრო ნელა მიდიოდა. ტორალფს ეგონა, რომ უკვე მთელი კვირა გავიდა იმ წუთიდან, რაც მამამ დაანება თავი. იგი იჩქმეტდა ხელებს, რომ არ დასძინებოდა, მაგრამ ამ საშუალებაზეც არ უშველა; მას თვალეები დაეხუჭა და თავი მძიმედ ჩაიკიდა. ბიჭუნას სრულებით დაავიწყდა ზღვის თუთიყუშის წვეტიანი ნისკარტი. მან სწრაფად მოაკიდა ხელი ნიკაპზე და იგრძნობდა ხელის თითებზე რაღაც წებოსებური, თბილი სითხე: სისხლი. საკმაოდ დრომ განვლო, სანამ მან ძლივსძლივობით გააჩერა სისხლის დენა; ქრილობა იმაზე დიდი იყო, ვიდრე ეგონა. სამაგი-



ეროდ საქმე გაუჩინა და არ მისცა ძილს დაუფლების საშუალება. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, ბოლოს შეამჩნია, რომ აღმოსავლეთით უკვე დილა იღვიძებდა. ეს იყო სინათლის სუსტი, მკრთალი სხივები, მაგრამ დატანჯული ყმაწვილისათვის, რომელიც საშინელი საათების განმავლობაში სიკვდილის პირისპირ იდგა, ეს სხივები გადარჩენის მაუწყებლები იყო.

ქარი თითქმის დაწყნარდა. კლდის ნაპრალებიდან ფრინველები ათასობით მიესწრაფებოდნენ ზეცას, შემდეგ ველური კივლით იმალებოდნენ ოკეანის ტალღებში. ძნელი წარმოსადგენი იყო თუ სად იყო მოთავსებული ეს აუარებელი ფრინველი; თავისი ყიჟინით ისინი თითქოს ავსებდნენ მთელ ჰაერს, ყველა ნაპრალი ფუსფუსებდა მათგან

ფრინველები იბრძოდნენ, ყაყანებდნენ და ყვიროდნენ, როგორც საცოდავი მოყაყანე მშობლის დროს. ამ საშინელი ყვირილის გამო ტორალფმა ვერ გაიგო მთიდან ძახილი. ყველა ამ ხმაურობისა და გადატანილი ღეღვისაგან ტორალფის გონება თითქოს ბორჩუსში იყო. უცებ ტორალფის ყურს მოესმა ცალკეული სიტყვები: მან ყური დაუგდო და ხალხის ხმაური მოეჩვენა. მან სცადა ზევით ახედვა, მაგრამ წამოშვერილმა კლდემ დაუშალა; მან მხოლოდ მისკენ მიახლოვებული სქელი თოკი შეამჩნია. ტორალფი ფილტვების მთელი ძალით უბასუხებდა და გაიგონა, როგორ იქექა ჰაერში ველური გამარჯვების ყვირილმა. მან იცნო ახალგაზრდა ხუნდინგების ხმები, რომლებიც ცხოვრობდნენ მთის იქითა მხარეს, და ექვი არ ეპარებოდა, რომ მამის დაუხმარებლად ისინი ადვილად ასწევდნენ სამჯერ მეტ სიმძიმეს, ვიდრე მისი მამა.

— მეტად გააქანეთ თოკი! — შეჰყვირა ტორალფმა ზევით. თოკმა ტალღისებური ცეკვა დაიწყო. რამდენიმე უნუგეშო ცდის შემდეგ მან შეძლო ქამანდის ხელში ჩაგდება. წელზე მიმაგრება და ზევით აწევისათვის ნიშნის მიცემა სულ ერთი წუთის საქმე იყო.

ხუნდინგების ვაჟი შვილებს მხიარული ყვირილი გაქონდათ, რადგან მათ ღონიერ ხელებში ტორალფი სულ ზევით მოფრინავდა უსწორო კლდეებს შორის, მანამ დაბოლოს არ მიაღწია მიზანს. პირველად რაც მან ნახა, — ეს იყო მკრთალი, დატანჯული სახე თავისი მამისა, ხოლო მის გვერდზე — აუწერელი მწუხარებით სავსე დედის თვალები.

ძლიერმა, მხიარულმა გამარჯვების ყიჟინამ აავსო ჰაერი, მაგრამ ტორალფმა ვერ გაიგონა იგი. რაღაც ცივი, თითქოს თოვლი, იგრძნობდა თავის სახეზე ცხელი წვეთები. — ეს ცრემლები იყო. მან გაახილა თვალები და დაინახა, რომ დედის გულზეა მიხუტებული. პატარა იენისი ხმამალლა ტირიდა სიხარულით და ჰკოცნიდა, ხოლო მამა და ახალგაზრდა ხუნდინგები აქვე იდგნენ აღვლევებული და მხიარულნი შესცქეროდნენ.

ბოიზენიდან თარგმნ. ი. როსტომაშვილის მიერ

დათვის ზეშა

(არაკი)

შუალამეზე შავ ტყეში
გამოხაჯბაჯდა დათუნა
და ერთ ქვის გვერდით გაჩერდა,
რალაც ბალახსა დასუნა.
დაწყნარდა, სული გატრუნა,
სულ გაინაბა მსუნაგი
(თურმე, სიცივემ აავდო,
დააცლევინა ბუნაგი).
უეცრად მგზავრად მავალი
გადაეყარა მელია
(ამისი ქირი ეს იყო:
საგზალი შემოვლია)
და შეეკითხა: „დათუნი,
ამ შუალამეს ტყეშიო
რადა ხარ უქმად დამდგარი,

არ იძვრის შენი ლეშოო?“
დათვმა მიუგო მელიას:
„სიცივემ ამიტანაო,
გამოვედი და მზეს ვათბობ...
თავად ვერ მიხვდი, განაო?“
მელიამ უთხრა მზაკვრულად:
ძალიან კარგი არიო,
ტყვილა არ უნდა დაკარგო
მზის სხივი, თბილი დარიო...
და თავის გზასა გაუდგა
შემშლით შეწუხებულნი,
დათვი კი სამზიურზეა
ვით გამოქანდაკებული.

გ. ლომთათიძე.

ჩხარა სათქმელი

(შეკრებილი ნინო ნაკაშიძის მიერ)

1.
კაპეიკი გაკაპეიკებულია.
2.
კატას კეტით არავინ სცემს,
კოტე კატას კეტით სცემდა.
3.
ერთსა კაცსა, ბლისკინელსა,
ბლის კალათით, ბლის ხიდზედა
ბალი გააქვს და გამოაქვს.
4.
ნიორი ნანიორალში,
რიონი ნარიონალში.
5.
ნაპარავი ქურქის ქული
ქურდსა ქულად თავს ეხურა.

6.
შენი ჩიტი, სკვინჩა ჩიტი,
ჩემსა ჩიტსა, სკვინჩა ჩიტსა,
რას ერჩოდა, რას ებძოდა,
რას ესკვინჩაჩიტებოდა?
7.
შარშანდელი ნანიერალი,
წრევენდელი ნახახვარი,
პაპასია ნასახლოარი.
8.
თევზს დავიჭერ, თევზს შევჭამ,
თავს დავიჭერ, თევზს შევჭამ.
9.
თეთრი ფატის თეთრი ბატი,
ფრთათეთრი და ფრთათფრთატი.



348

რ ე ბ უ ს ი

შედგენილი მე-6 კლ. მოწაფის ბ. ლომთათიძის მიერ.

ვ
“
რ
”



“

ნ



‘
ი
ყ
მ



კავშირი



ი
ქ



მეორე პირი
ანუ??

ე
მ

ჩ
ა



“““



შ

გაუკეთეთ რითმა